# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 17 მარიამობისთვე 1919 წ. № 176 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.



ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო მმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86—20



მშობლები: ეფემია და დეკ. გიორგი ასათიანი, დები: ნინო, თამარი, ქეთევან, რუსუდანი და ეკატერინე; ძმები: ლავრენტი, გიორგი, ლევანი, რძლები: რახილ და ანნა, სიძეები: დეკ. ისააკ ჩეკურაშვილი და შალვა გრიგოლაშვილი; დისწული მათიკო—ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ნახევარი წლის წირვა მათი საყვარელ და დაუვიწყარ

## შუშანიკის

გადახდილ იქნება კვირას, 17 მარიამობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე განსვენებულის საფლავზე.

1—2568—1

ღრმად დამწუხარებული ნინო ჯალიაშვილი-რცხილაძისა ნათესაობით აუწყებენ, რომ 18 აგვისტოს იქნება გადახდილი წლის წირვა ძვირფასი ნეულის ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის უკანასკნელ კურსის სტუდენტის

## გიორგი დავითის ძე რცხილაძის

წირვა და პანაშვიდი იქნება ქ. სიღნაღის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, დილით 10 საათზე.

1—2566—1

გამოვიდა და იყიდება

## ალ. ასათიანის წიგნი

## მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10—6—10

გამოვიდა

## ვალერიან გაფრინდაშვილის დაისები

ლექსების წიგნი:

გამოცემა „კირჩხიბის", ფასი 25 მანეთი.

## აუქციონი

საქკ. საზოგ. „მოქმედი". რუსთაველის ქუჩა, № 64.

მარიამობისთვის 17-დან (კვირადან), ყოველ დღე საჯაროდ იყიდება ვადა გასული გირაოები და მანდატები.—ძვირფასი ქვები, ოქროს, ლითონის და სხვა ნივთები (ვადა გასულ ნივთთა კვიტანციების ნომრები შემდეგია) 1074, 1259, 1295, 1293, 1253, 1312, 1261, 1264, 554, 719, 786, 716, 1004, 1068, 1073, 1101, 1074, 1150, 1166, 1177, 1193, 1145, 735, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739. 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 737, 748, 749, 750, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 826, 827, 827. მიიღება აუქციონიდან გასაყიდი ნივთები. გაიცემა სესხი. კანტორა ღიაა 9—4 საათამდე.

3—2401—2

## ბოჩკები

მუხის და წიფლის, გამოსადეგი ღვინისთვის, ძმარისთვის, ზეთისთვის, მწნილეულებისთვის; ნავთისათვის და სხვა. იყიდება შეღავათიან ფასებში მიხეილის ქუჩა № 57.

3—2567—1

## მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯერ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორნებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის საგანგებოდ დამზადებული ნახშირი და დიდ ძალი კირი, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. თაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო".

15—1002—1

## კლუბი „უნიონი"

საზაფხულო შენობა. სოლოლაკის ქ. № 13.

უკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ შლიფერის ხელმძღვანელობით და ბ-ნ კაპელნიცკის მონაწილეობით.

კლუბში შესასვლელი მამაკაცისთვის—20 მ., მანდილოსანთათვის—10 მ. შესვლისათვის საჭიროა საზოგადოების ორი წევრის რეკომენდაცია.

კლუბის რესტორანში შესასვლელი ფასი: მამაკაცთათვის 10 მ., მანდილოსანთათვის—5 მ. აქ საჭიროა ერთი წევრის თავდებობა.

კლუბში სინემატოგრაფია. სავ. სახლ. Saga და ტვიტის ამხ.

5—2402—1

ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭო იწვევს ხელოსანთა, მოეწველთა და ვაჭართა

## საერთო კრებას

სამშაბათს, მარიამობისთვის 19-ს საღამოს 6 საათზე, რუსულ კლუბის საზაფხულო შენობაში.

დღის წესრიგი: 1. სამრეწველო გადასახადი.
2. სანიტარული გადასახადი.
3. საორგანიზაციო საკითხები.

2—2569—1


## ანტანტის უმაღლესი კომისარი

15 აგვისტოს მოხდა ცვლილება ანტანტის წარმომადგენლობისა მთელ ამიერ-კავკასიაში. ამ დღეს დაიწყო ოფიციალური ევაკუაცია დიდი ბრიტანეთის ჯარისა და ამავე დღეს ამიერ-კავკასიაში, ბათომით, ბრიტანეთის სანაცვლოდ ფეხი შემოდგა ამერიკამ, პოლკოვნიკ ჰასკელის სახით. დიდი პერსონაჟები: ინგლისი და ამერიკა ერთმანეთს შეეცვალნენ. ამიერ-კავკასიის ერების პრესა და პოლიტიკური წრეები ამ მომენტს სათანადო შეფასებით ვერ შეხვდნენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ბ-ნი ჰასკელის შესახებ სრული წინასწარი ინფორმაცია არ იყო, ხოლო სომხური წყაროები მას მხოლოდ მარტო სომხეთის დიკტატორად აცხადებდნენ. ნამდვილად ასე არ გახლავთ. ბ-ნი ჰასკელი ანტანტის უმაღლესი კომისარია ამიერ-კავკასიის სომხეთისათვის. იგი წარმოადგენს ოფიციალურად შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას— საქართველოსა, აზერბაიჯანსა და ორივე სომხეთში ვიდრე პარიზის კონფერენცია ამიერ-კავკასიის საკითხს გადასჭრიდეს. ანტანტი, ამერიკის სახით, იქნება ჩვენ შორის. ამგვარად, ანტანტი ძველებურ პოზიციაზე რჩება ამიერ-კავკასიის მიმართ. მას აქვს იურიდიული და საერთაშორისო სანქციის უფლება ამიერ-კავკასიის ბედის საბოლოო გადაჭრისათვის. და მასვე ფაქტიურად აქ თავისი რეალური ძალაც ეყოლება. ჩვენ არ გვაქვს იმის ცნობა პოლკოვნიკ ჰასკელს თან ამერიკის ჯარი მოჰყვება თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია რომ ინგლისის ჯარის ევაკუაცია ერთის დაკვრით ვერ მოხდება; როგორც ამ ჯარის შემოსვლა ხდებოდა თანდათანობით, ისევე თანდათანობით მოხდება მისი ევაკუაციაც. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ჩვენი საკითხიც გადასწყდეს თუ არა და ამერიკის ჯარმა დაიჭიროს ინგლისის ჯარის ადგილი. ამასობაში კი ამიერ-კავკასიას ეყოლება ანტანტის უმაღლესი კომისარი, ამერიკის მოქალაქე ბ-ნი ჰასკელი და ინგლისის რეალური ძალა. ამ ახალმა გარემოებამ არსებითად უნდა შეინახოს დღემდე არსებული status quo. სიმართლემ ბ-ნ ჰასკელის შესახებ ბევრი სრულიად კანონიერი შიში და იქვი გაჰფანტა. ყველა იმ ცნობით, რომელიც დღემდე გვქონდა, ინგლისი, თავისი ჯარით სტოვებდა ამიერ-კავკასიას, იტალია არ მოდიოდა; სხვების შესახებ კიდევ არავითარი ცნობა არ მოიპოვებოდა. მართლაც რომ ასეთი სინამდვილე შექმნილიყო, ამიერ-კავკასია დიდ გასაჭირსა და სირთულეში ჩავარდებოდა.

ბ-ნი ჰასკელის როლი და უფლებამოსილობა სრულიად სცვლის გარემოებას; ანტანტისა და ამიერ-კავკასიის ურთიერთობა აქამდე არსებულ ჩარჩოებში რჩება.

ბ-ნი ჰასკელი პირველ ყოვლისა ხელს მიჰყოფს ამიერ-კავკასიის ჭრელი სინამდვილის შესწავლას. ამერიკელის ბუნება ყოველ საქმეს და დაკისრებულ მისსიას დიდის შესწავლით იწყებს ხოლმე.

ეს არის საწინდარი, რომ ჩვენი ბედი და ინტერესი თავის დეტალებშიაც, დაცული და მოვლილი იქნება. განიერი, ღრმა და დოვლათიანი ამერიკის კულტურის შვილი ამიერ-კავკასიაში დიდ სიძნელეებს შეხვდება. აქ დაინახავს საშინელ სიხარბეს პატარ-პატარა ერისას თავისუფლებასა და ყოველ ტკაველ მიწაზე და ამაში იგი ამოიკითხავს ამ ერთა მთელს საიდუმლოებას. ამერიკულ ხედვათობიდან და მასშტაბიდან იგი საქართველოს და ამიერ-კავკასიის სივიწროვესა და მასშტაბზე გადავა და საგნებს თავის ადგილს მოუძებნის... ჩვენი მოვალეობაა ბ-ნ უმაღლეს კომისარს საქმე გაუადვილოთ.

ჩვენი პრესსა, პოლიტიკური სფეროები, ჩვენი ლიტერატორები, ქართული პროფესურა და ჩვენი საქმიანობის ყველა წრეები, ტრადიციულის თავაზით და მიგებებით შეხვდებიან ბ-ნ ჰასკელს მის ხელში და მუშაობაში.

ახალი და დიდი ქვეყანა-სახელმწიფოს მოქალაქემ, ბ-ნმა ჰასკელმა გუშინ, დილის თორმეტ საათზე, ფეხი დაადგა ერთი პატარა, უძველესი ხალხის და განახლებულ უძველეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს დედა-ქალაქს, ჩვენი თბილისის — მიწაზე! ათასი წლობით განიზომება ქართველი ერის ისტორიული ცხოვრება. სიგრძესა და სიგანეში ვერ გავრწყვთნილვართ, მაგრამ, სამაგიეროდ საუკუნეთა სიმრავლეს ძველი სულიერი კულტურის სიმაღლე შთაუდგამს ჩვენში. თავისუფლება და ეროვნული პატიონნება ყოფილა ჩვენი სიცოცხლის მიზანი. ეს თავისუფლება, ასი წლის მონობის შემდეგ დავიბრუნეთ და თამამად ვიტყვი სამშობლოს დამოუკიდებლობის ამ ქვეყნის ბედის მაკრატელი დღეს ანტანტის ხელშია. ამ მაკრატლით დეკემბრის რვას წარმომადგენელი ჩამოვიდა საქართველოში ხოლო 14 მარიამობისთვეს—ამერიკა.

ახალი და დიდი, ძველი და პატარა ქვეყნები ერთმანეთს გაიგებენ.

ქეთილი იყოს დიდი ამერიკის მობრძანება ჩვენს სამშობლოში.

## ხანგრძლივი ხიფათის დასაძლევად

უკვე პირში სული გვეგუბება. მოთმინების და გამძლეობის ენერგია არ გვყოფნის, გვესწრაფვის რომ ყველაფერი ჩქარად მოხდეს, რომ პარიზის კონფერენციამაც მალე გადასჭრას ჩვენი საკითხი და დენიკინმაც ჩქარა თავი დაგვანებოს.

მთელ ჩვენს მოქმედებას ეტყობა ეს ნაჩქარეობა, ნაწყვეტ-ნაწყვეტობა; ვინმე შემოგვიტევს. და ჩვენ ფაცხურს მაშინ დავიწყებთ, სასწრაფოდ მობილიზაციას გამოვაცხადებთ, ჯარის საჭიროებაზედ ყვირილს მაშინ მოვრთავთ. მტერი რომ ცოტა მიყუჩდება, ყველაფერი დაგვავიწყდება, მყისვე დავშლით ვაი-ვაგლახით თავმოყრილ ჯარს, მასზედ ფაქტიურს ზრუნვას თავს ვანებებთ და მხოლოდ ფორმალურად ვიტანთ მის მკლე არსებობას.

გვაკლია პერსპექტიკა მოვლენათა ხილვაში, გვაკლია ამიტომაც ენერგიის და საქმიანობის გამწეობა. ჩვენ ვჩქარობთ, მაგრამ არ ჩქარობენ ის მოვლენები, რომელნიც ჩვენს ბედზე გადამჭრელ გავლენას ახდენენ; ისინი საკუთარის ტემპით მიდიან და ჩვენთან როდი ემმიან საერთო ფერხულში. დიდ ხანს არ დალაგდება ცხოვრება ევროპაშიც და განსაკუთრებით კი რუსეთში. შეიძლება ახალ-ახალმა სირთულემ იჩინოს თავი იქ, სადაც დღეს შედარებითი მშვიდობიანობაა და შეიძლება მოსწყდეს სრულიად წესიერებისა და მოქალაქობრივი შემოქმედების ის ერთად-ერთი ლუზა, რომელზედაც ჰკიდია დღეს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბედი. ინგლის-საფრანგეთში რომ მდგომარეობა გარკვეულდეს, ამიერ-კავკასიის თავი არავის ექნება და გამოურკვეველ მდგომარეობაში საკუთარ ძალის ანაბარა მიტოვებული, ვინ იცის, ჩვენ რა საფრთხეს არ გადავეყრებით. ჯერ დღესაც, როდესაც ანტანტი ფეხზე დგას და ამიერ-კავკასიაში სამხედრო ძალა ჰყავს, დენიკინისა და სხვა ათასი მტრის შემოსევა აროდებული არ გვაქვს. ყოველ შემთხვევისათვის აიწეწება მდგომარეობა ევროპაში თუ არა, ან დალაგდება მდგომარეობა რუსეთში თუ არა, ჩვენ ჩვენი მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ თავდაცვის მოსაწყობად. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უფრო ხანგრძლივი ხიფათის და ქრონიკული არეულობის პასუხის გასაცემად თავდაცვის თარილი, რაც უფრო მკვეთრი და ძლიერი იქნება, მით უფრო საიმედო იქნება ჩვენი დამოუკიდებლობაც, რადგან ამ დამოუკიდებლობაზე ჰკიდია მთელი ჩვენი ეროვნული მომავალი, ამიტომ თავდაცვის გაძლიერებისათვის ჩვენ არ უნდა დავზოგოთ არავითარი მსხვერპლი. თავდაცვის ნაცადი იარაღი ყოფილა და იქნება ჯარი. წელიწად-ნახევრის დამოუკიდებლობამ ამაში დაგვარწმუნა. ჩვენი პატარა და მოუწყობელი ჯარი რომ არ გვყოლოდა, დამოუკიდებელი საქართველოც არ იქნებოდა. ყოველ დიდ მოვლენების ლიკვიდაციის ხანის მოახლოვებამ კრიზისების გახშირება იცის. ჩვენ ამ ზონაში შევდივართ კიდეც და ამიტომაც თავდაცვის ძლიერების მაქსიმუმით უნდა ალვიჭურვოთ. სანამ სამშვიდობოს არ გავაღწევთ, რაც შეიძლება მეტი ჯარი უნდა შევქმნათ და ეს „მეტი ჯარი რაც შეიძლება მაღალ სამხედრო ხარისხზე ავიყვანოთ. ტრადიციულად მოგვდგამს ამის შნო და ძალა. საჭიროა მხოლოდ რომ ჩვენს მთავრობას ჰქონდეს წრფელი გული და აქტიური პატრიოტიზმის ლელვა.

ჩვენ ამას ვუცდით.

საფრთხე გრძელი იქნება.

ჩვენ გვჭირია დიდი სული და მტკიცე ხასიათი, რომ ეს ხანგრძლივი ხიფათი დავსძლიოთ ვიმუშაოთ ყველამ ამისთვის!

## პრესსა.

გაზ. „ერთობა" თავის გუშინდელ მეთაურში ეხება მართველობის სენსაციას და სხვათა შორის სწერს:

საქართველომ შექმნა ჯერ პარლამენტი, შემდეგ კი ყოვლად სრული საარჩევნო სისტემით დამფუძნებელი კრება, რომელმაც შეადგინა პასუხის მგებელი სამინისტრო. ადგილობრივ ყველგან მოწყობილია დემოკრატიულ საფუძველზე და დემოკრატიული კანონით არჩეული ერობა, რომელიც ორგანოა არა მარტო ადგილობრივ თვითმართველობის, არამედ მართველობისაც. ერობის განკარგულებით ეწყობა და მასვე ემორჩილება ადგილობრივი ადმინისტრაცია.

ასეთ პირობებში საჭირო იყო ერთგვარი იერარქიის უმცროს-უფროსობის შემადგენლობა, ქვემდებარობის დამყარება და მისი სასტიკათ გატარება ცხოვრებაში.

მაგრამ სამწუხაროთ ამ მხრით ყველა დაბრკოლებები ძლეული არაა. მოხელე ჯერ კიდევ არ ემორჩილება თავის კანონიერ უფროსს და მბრძანებელს, ის უწინარეს ყოვლისა პარტიის კაცია, რომელიმე კავშირის წევრია და როგორც ასეთი, ის პასუხს აგებს თავის ორგანიზაციის წინაშე. ასეა ყველგან: ფოსტაში და ტელეგრაფში, რკინის გზაზე და ტელეფონზე, ერობაში და ქალაქის თვითმართველობაში. ფოსტის მოხელე უპირატესობას აძლევს იმ კავშირის ნება სურვილებს, რომლის წევრიც თითონ არის და არა ოლქის უფროსის ბრძანებებს, ერობის ექიმი მეტ ანგარიშს უწევს ექიმთა საპროფესიო კავშირის და არა ერობას. თვით ერობაში ესათუ ის ხმოსანი ან გამგეობის წევრი ყურადღებას აქცევს არა ერობის დადგენილებას, არამედ თავის პარტიული ჯგუფის ინიციატ-

# უკანასკნელი ცნობები

ხალილ ფაშა და ტალაათ ბეი სტამბოლის ციხილან გაიქცნენ.

სიძვირის ნიადაგზე პარიზის მთავარ ბაზარზე უწესოება განმეორდა. მოსალოდნელია ახალი მღელვარება.

ხუთთა საბჭოს თავმჯდომარედ ნაცვლად კლემანსოსი რომელიც დასასვენებლად წავიდა პიშონი დაინიშნა.

ჰუნგრეთის იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ავსტრიის მთავრობას ბელა-კუნი დაატყვევოს.

უკრაინის ჯარმა 3 დღის ბრძოლის შემდეგ ქ. როვნო დასტოვა.

---

ბას. რკინის გზაზე მოხელე უწინ კავშირისკენ გაიხედავს, სანამ უფროსის ბრძანებას დაემორჩილებოდეს. სოფლის კომისარი, თუ ის იმავე დროს სოც.-დემ. კოლექტივის წევრია, ადმინისტრაციის არც ერთს ბრძანებას არ აასრულებს, თუ ეს კოლექტივის ზოგიერთ წევრების თვის სასურველი არ იქნება.

წერტავი ხშირად დაუდგებიდეს „ერთობის" რედაქციის სიმართლის დღეები.

## ოსმალეთის საქართველოსთვის.

ამა შვიდი აგვისტოს თარიღით ჩვენს წარმომადგენელს სტამბოლში ბ-ნ გ. რცხილაძეს, წარუდგენია მემორანდუმი იმ საერთაშორისო კომისიის ამერიკულ სექციის უფროსისათვის, რომელიც მანდატებით არის ოსმალეთზე აღჭურვილი. მემორანდუმი შეეხება ოსმალეთის საქართველოს: ჭანეთ-ლაზისტანს და თორთუმ-ისპირს და გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეს მხარე არ არის აღნიშნული როგორც ქართველთა ტომის მოსახლეობის მხარე იმ გამოკვლევაში, რომელიც მოხდა ამერიკის სექციის უფროსის თავმჯდომარეობით და რომელსაც მიზნად აქვს—ევროპა-ამერიკას გააცნოს მახლობელი აღმოსავლეთის აწინდელი ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება. მემორანდუმი აღნიშნავს, რომ დასახელებული მხარეები საქართველოს ღვიძლი ნაწილებია, მხოლოდ სხვა და სხვა დროს მოგლეჯილი მის ტანისაგან ოსმალეთის მიერ, რომელნიც დედა-სამშობლო-საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ.

მოგვყავს თარგმანი მემორანდუმის.

ამერიკის სექციის უფროსს.

თქვენო აღმატებულებავ!

თქვენი გამოჩენილი თავმჯდომარეობით შედგარ კომისიას, როგორც სჩანს, დაუმთავრებია ადგილობრივი შესწავლა იმ საკითხებისა, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთს შეეხება და ებლა შესდგომია იმ დასკვნათა ერთმანეთთან შეთანხმებას, რომელიც უნდა იქნას გამოტანილი დაგროვილი მასალებიდან.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში სტამბოლის პრესამ გამოაქვეყნა, სექციას დაწვრილებით განუხილავს ოსმალეთის იმპერიის ყველა ნაწილი; თუ არ ვსცდებით, ოსმალეთის ერთი კუთხე მხედველობის გარეშე დარჩენილა, სახელდობრ ორი სანჯაყი: ჭანეთი და ლაზისთანი და არზრუმის ვილაიეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე: ისპირი და თორთუმი, რომელთა მოსახლეობა თითქმის სავსებით მუსლიმან ქართველებისგან შესდგება. ეს მხარეები საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის ღრმა რწმენით, უხსოვარ დროიდან, ინტეგრალურ საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. ამისთვის ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოკლედ მოვახსენო თქვენს აღმატებულებას ამ ტერიტორიის შესახებ შემდეგი რამდენიმე ცნობა:

1. ჭანეთი და ლაზისთანი, ისპირი და თორთუმი უხსოვარ დროიდან დასახლებული იყო ქართველთა რასის ერთი ჯგუფისაგან. რომაელი ისტორიკოსები: პლინი და არიანი გადმოგვცემენ, რომ ეს სანაპირო ადგილები, მათ დროს, დასახლებული იყო ლაზებისა და სანებისა ანუ სანნებისაგან. ბერძნთა წყაროებში სანები ანუ სანნები წოდებული არიან ცანებად ან ჭანებად. ეს სახელწოდება დღემდის შერჩა ტრაპიზონის ერთ სანჯაყს, ჭანეთს. მთელ ამ მხარეში ლაზები და ჭანები ლაპარაკობენ, ხოლო ლაზისტანში დღესაც იმ დიალექტზე ლაპარაკობენ, რომელსაც დღეს მეგრელები ხმარობენ. ქართული ენა, როგორც ნაციონალური ენა უმთავრესად სამი ქართული ხალხური დიალექტისაგან წარმოსდგა: ლაზური, სვანური და ქართლურისაგან. ჩვენი ენის გრაფიულ და ლიტერატურულ განვითარებაში, ყველაზედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სწორედ ჭანურმა ან ლაზურმა დიალექტმა. ეს გარემოება იმით აიხსნება რომ ჭანები ან ლაზები უფრო ახლო იყვნენ ბიზანტიის ქრისტიანულ კულტურასთან, ვიდრე სხვა შტოები ქართული რასისა და რომ ისინი ერთგვარ ხიდს წარმოადგენენ საქართველოსა და ევროპას შორის. აი თუ რატომ ითამაშეს ეგზომ დიდი როლი ჭანებმა და ლაზებმა საქართველოს ნაციონალურ ცივილიზაციის შექმნაში.

ამ მხარიდან, ჯერ ანდრია მოციქულისა და და უფრო გვიან წმ. ნინოს ქადაგების წყალობით, ქრისტიანიზმი მთელ საქართველოს მოედო. ბიზანტიის ბატონობის გასწვრივ ჭანები და ლაზები ერთ ცალკე საეპისკოპოზოს შეადგენენ. ეს ქვეყანა მოფენილი იყო ქართულ ეკლესიებით და მონასტრებით, რომელთაგან ბევრი დღესაც არსებობს და დიდ ინტერესსაც იწვევს, როგორც მაგ. ფარხალის ეკლესია ლაზისტანში მონტის მთის აღმოსავლეთის კალთაზე, ისპირის მახლობლად და ხახულის მონასტერი თორთუმში. მეტი წილი განადგურებული და აღგვილია თურქთა ფანატიზმისა და შემოსევისაგან.

2. როდესაც დაუძლურებულმა ბიზანტიის იმპერიამ ოსმალებს თავისუფალი გზა გაუხსნა რომ ჩრდილოეთს მოსდებოდნენ, ჭანეთი, ლაზისთანი, ისპირი და თორთუმი, როგორც საქართველოს მოსაზღვრე ადგილები, ოსმალთა შემოსევის პირველი მსხვერპლი შეიქნენ. ამავე დროს ოსმალებმა დაიუფლეს მესხეთი, ჭოროხის ხეობა (ტაო-კლარჯეთი) და აჭარა (ბათომისა და ოლთისის ოლქები) და მთელი ეს მხარე საქართველოს ჩამოგლიჯეს. ამ დროიდან მოკიდებული ქართველები მუდამ იმ ცდაში იყვნენ, თუ როგორ დაებრუნებინათ ეს მხარე დედა-სამშობლოსთვის, მაგრამ ურიცხვ ბრძოლაში დასუსტებულებს ცდა ამაოთ დაურჩათ. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს, ამ ნაწილებით შემოიერთეს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ოსმალთა ბატონობა საქართველოსგან ჩამოგლეჯილ მხარეში უმთავრესად რელიგიურ სფეროში გამოიქვა. ყოველგან ქრისტიანიზმი მუსლიმანურ რელიგიად შესცვალეს. ადმინისტრატიულის თვალსაზრისით, ეს ქვეყნები დღემდე განცალკებულ ხასიათს ატარებენ. ჭანეთის სანდაყში, რომელიც უფრო საძხრეთით მდებარეობს და ოსმალთა სამასი წლის ბატონობის ზეგავლენით, ქართულმა მოსახლეობამ დაივიწყა თავისი სამშობლო ენა და დღეს ოსმალურს ლაპარაკობს, მაგრამ მას შენახული აქვს ქართული ზნე და ადათი ისე როგორც ცხოველი შეგნება რომ იგი ჭონია და არა ოსმალო. ლაზისტანსა, ისპირსა და თორთუმში ოსმალური გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცილებით უფრო სუსტი იყო. თუმცა ამ კუთხის მამაკაცები ოსმალურ ლაპარაკობენ, მაგრამ ოსმალური უცხო ენა აქვთ დასახული, მაშინ როდესაც ოჯახში ლაზურს, ე. ი. ქართულს ხმარობენ კიდე. მეოცე საუკუნის დასაწყისიდგან, ქართული ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო იღვიძებს ლაზთა და ჭანთა შორის. მისწრაფება და მოქმედობა განათლებულ ლაზებისა სულ ერთიანად საქართველოსკენ არის მიმართული, რომელსაც ისინი თავიანთ დედა-სამშობლოდ სთვლიან.

3. ტერიტორიულის თვალსაზრისით მთელი ეს მხარე გადაბმულია ბათომის და ოლთისის ოლქებზე, არტაანის ოლქზე და ახალციხის პროვინციაზე, ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ,—საქართველოზე. ოსმალეთის იმპერიის სტატისტიკით, 1919 წელს ჭანეთში ოფიციალურად ირიცხებოდა სულ - 265.000 მუსლიმანი, 93,739 ბერძენი და 27.518 სომეხი, მაშინ როდესაც მთელს ტრაპიზონის ვილაიეთში მუსლიმანი იყო 921.128, ბერძენი—161,874, სომეხი 58,899. ოსმალეთის ეს სტატისტიკა არ გვიჩვენებს მუსლიმანთა ეროვნებას, უეჭველია იმ მოსაზრებით, რომ ყველა მუსლიმანი ოსმალოდ აქვს წარმოდგენილი. ჩვენს დროში ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებელია ასეთი აღრევა ერთმანეთში რელიგიისა და ეროვნების. რაც შეეხება ჭანეთს, ლაზისთანს, ისპირს და თორთუმს მუსლიმანთა მოსახლეობის 95 პროცენტი უდავოთ ქართულ რასას ეკუთვნის და მხოლოდ უმნიშვნელო მცირე ნაწილი ოსმალებს მიეკუთვნება.

4. დაბრუნება საქართველოსთვის ოსმალთაგან წართმეული მისი ნაწილებისა შეადგენდა ერთ-ერთ მთავარ მუხლს იმ ხელშეკრულებისას, რომელიც დადებულ იქმნას 1783 წელს საქართველოს მეფე ერეკლე მეორესა და რუსეთის დედოფალ ეკატერინე მეორეს შორის ამ პროვინციების დაბრუნება დედა-სამშობლოს წიაღში ქართველი ხალხის ერთი უძლიერესი და უცხოველესი მისწრაფებათაგანია. ამ მისწრაფებას ეთანამშრომლება დიდი ქართული ეროვნული მოძრაობა, რომელიც თანდათან ვრცელდება და ფესვებს იკიდებს ოსმალეთის საქართველოში. ეს მოძრაობა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცებისკენ ისწრაფვის, ისეთივე საღი და ცხოველმყოფელია, როგორიც არიან ანალოგიური მოძრაობანი ყველა სხვა ხალხებში.

ანტანტმა მსოფლიო ომის ველში თავი იმიტომ შეჰყო რომ გაემარჯვებინათ უფლება და სამართლიანობის პრინციპებისთვის. ამიტომ საქართველოს მთავრობას და ხალხს ღრმად სწამს, რომ პარიზის კონფერენცია ქართველ ხალხს დაეხმარება და მიეშველება იმ უსამართლობის გასწორებაში, რომელმაც ამ სამი საუკუნის წინად, მას ჩამოჰგლიჯა უუმშვენიერესი მისი ნაწილი და ხელში მისცა ოსმალეთს.

აღმატებულებავ ნება მიბოძეთ ამას თან ერთად წარმოგიდგინოთ მოკლე მიმოხილვა, რომელიც შეეხება ოსმალეთის საქართველოს და შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დეტალებს, რომლის აქ აღნუსხვა არ შემეძლო.

ვთვლიდი რა ღრმა რწმენაში, რომ თქვენი აღმატებულება კეთილ განწყობილის თვალით შეხედავს და თავის დროზედ მხარს დაუჭერს კიდეც საქართველოს ფარგლებში იმ ქართულ პროვინციების დაბრუნების საქმეს, რომელიც დღეს ოსმალეთის საზღვრებშია მოქცეული. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ მიიღოთ ჩემი ყოვლმეისი პატივისცემა.

ხელს აწერს გ. რცხილაძე.

## გენ. დენიკინი მუშა ხალხის საკითხზე.

ბათომში გენ. დენიკინის აგენტებს დაურიგიათ შემდეგი პროკლამაცია რომლის შინაარსიც მოგვყავს უცვლელად.

„საგანგებო სათათბიროს სახელზედ რომელიც წარმოებს მთავარ სარდალთან შეიარაღებულ ძალებისა სამხრეთ რუსეთში მიღებული იქმნა 24 მარტს ამა 1919 წლისა შემდეგი წერილი საიდაც მოყვანილია ღენერალ დენიკინის მიხედულობა განსამარტებლათ მუშა ხალხის კითხვებისა რუსეთში.

რუსეთის მრეწველობა სრულიად გაოხრებულია რის გამო დაზიანებულია მისი დონე და ძალა. გარდა ამისა განადგურებულია ყოველივე წინ წასაწევი საქმეები და მილიონი მუშა ხალხი მოკლებულია მუშაობისაგან და პურის საზრდოსაგან.

წინადაუდებ საგანგებო სათათბიროს დაუყოვნებლათ შეუდგეს განხილვას ზომებისა აღსადგენებლათ მრეწველობისა და შესამუშავებლათ საშუშაო კანონ დადებულობისა იმ დავალებით, რომ საფუძვლათ მიღებულ იქმნეს შემდეგი დადებულება:

1. აღდგენება კანონიერ უფლებისა ქარხანა და ფაბრიკების მეპატრონეებისა მათ წინწასავალ საქმეებში და ამასთანავე დაკმაყოფილება მუშა ხალხის დასაცველად მისი პროფესიონალური ინტერესებისა.

2. დაწესება სახელმწიფო კონტროლისა ხალხის სამეურნეო ინტერესის წარმოებაში.

3. გადიდება ყოვლის საშუალებით საწარმოებელ სასარგებლო შრომისა.

4. დაწესება 8 საათის სამუშაო დღისა ქარხანების და ფაბრიკების წარმოებაში.

5. მორიგება მუშების და სამუშაო მიმცემლების ინტერესებისა და პირუთვნელობით გარდაწყვეტა სადაო საქმეებისა მათ შორის (მომრიგე კამერა სარეწავი სასამართლო).

6. განვითარება მუშების დასტრახევისა.

7. დაწესება მუშათაგან წარმომადგენლობისა ნორმალური განვითარებით — პროფესიონალურ საზოგადოებით და კავშირებით

8 საიმედო დაცვა მშრომლებისა ჯანღონისა, დაცვა დედაკაცის და მცირე წლოვან მშრომლებისა, გამართვა სანიტარული თვალყურის მიცემისა ქარხნებში და ფაბრიკებში, აგრეთვე სახელოსნოებში გაუმჯობესებისა სადგურის და სხვა პირობების მუშა ხალხის ცხოვრებაში.

9. ყოველ შემთხვევაში დახმარება აღსადგენათ სასარგებლო დასაწყისების და გასაჩენათ ახალ სარგებლიან მუშაობისა, რომ მოისპოს უსაქმობა და მიღება სხვა და სხვა ზომებისა შესაწლოდ იმ თუ იმ გულის წადილისა (შუამავალი კანტორები დასაქირავებლათ და სხვა).

მუშათა ხალხის კანონ-პროექტების გარჩევა საჭიროა უთუოდ მოწოდება წარმომადგენლებისა როგორც მოთავეების მრეწველობის საქმეში ეგრეთვე მუშებისა. მაგრამ ვინემ გათავდებოდეს განხილვა მუშა ხალხთა კანონმდებლობისა და ვინემ სისრულეში მოვიდოდნენ ეგ კანონები ყოველ შემთხვევაში მიმდინარე ცხოვრებაში და ადმინისტრატიულ პრაქტიკაში ეგ დადებილებანი შეძლებისამებრ უნდა იქნეს შემოღებული და კერძოთ უნდა გაუწიოს სახელმწიფო დახმარება დასაკმაყოფილებლათ მუშა ხალხისა და მათ ოჯახისა იმ საგნებით რომელნიც წარმოადგენენ. პირველ მათ საჭიროებას. ამგვარი დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ნაწილებიდან იმ ფულებისა რომელიც ერგება მათ შემუშავებით.

## გაზ. „კავკ. სლოვო"-ს დახურვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა იმ ყალბ ცნობის გამო რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო" ს 57 ნომერში და მიიღო რა მხედველობარომ ამგვარ ცრუ ცნობებს შეუძლია გამოიწვიოს არა სასურველი შედეგები დაადგინა დაბეჭდილ იქმნას რედაქცია და კონტორა და შეჩერებულ იქმნეს გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო"-ს გამოცემა.

# ქრონიკა

✦ **იტალია და საქართველო.** ახლო მომავალში იტალიიდან თბილისში ჩაწოვა იტალიის საგანგებო კომისია, რომელსაც მიზნად აქვს განამტკიცოს ეკონომიური და ფინანსიური დამოკიდებულება საქართველოსთან.

✦ **მეცნიერული კავშირი ინგლისთან.** მიწ. მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის მტრებთან საბრძოლველმა ბიურომ დაიწყო წერილი კავშირი გამოცემათა გაცვლა იმპერიის ენთომოლოგიურ ბიუროსთან ლონდონში, ბრიტანიის მიწათ-მოქმედების სამინისტროთა და სხვა სპეციალურ დაწესებულებებთან დიდი ბრიტანეთისა.

✦ **პოლკ. ჰასკელის ჩამოსვლა.** 15 მარიამობისთვის თბილისში ჩამოვიდა მეუღლით და შტაბით საზავო კონფერენციის რწმუნებული სომხეთში პოლკ. ჰასკელი, რომელსაც ვაგზალზე დაუხვდა ამერიკული მისია კაპ. მერისა და სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის მეთაურობით. პოლკ. ჰასკელი დროებით დაბინავდა ამერიკულ მისიის სადგომში სერგიევის ქუჩაზე.

✦ **ხაჯარო, მამმადიანურ სკოლებში** კონსულტანტურად დაინიშნა მირზა რიზა ალი-ზადე.

✦ **საკვდილით დასჯა.** 4 მარიამობისთვის ქუთაისის საგუბერნიო ციხეში დახვრიტეს მ. ლეჟავას მკვლელი პავლე პაპავაძე.

### სისხლის სასამართლოში.

13-სა და 14 მარიამობისთვის სისხლის სამართლის მილიციამ მოახდინა ჩხრეკა თბილისის სხვა და სხვა საეჭვო ადგილებში და დააპატიმრა 23 პირი, რომელნიც ბოროტ-გამზრახველთა ბრბოებს ეკუთვნიან.

— 4 მარიამობისთვის სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა გაჩხრიკეს ბინა მეოთხე ქართული პოლკის სურსათ-სანოვაგის მიმწოდებლი ივ. მაბილინისა და აღმოაჩინეს რამდენიმე სახელმწიფო კარავი და განარის მილი, რომელიც ჩამოურთმეულ იქმნა.

## პროვინციის ცხოვრება

**ხ. მანგლისი:**

6 მარიამობისთვეს მანგლისიდან ბეზტაშენში მიმავალ ფოსტას თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომელთაც გაძარცვეს ფოსტის მოხელე რუეროველი და ფოსტის გადამტანი.

**დ. ცხინვალი**

ცხინვალის მხარეში მასსიური ძარცვაგლეჯა გახშირდა.

## პოლონეთის მანდატი გალიციაზე

პოლონური გაზეთების ცნობით პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქ. კლემანსოსაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„გალიციის მშვიდობიან მცხოვრებთა ბოლშევიკურ საფრთხისაგან დასაცავად უმაღლესმა საბჭომ დაადგინა პოლონეთს ნება მისცეს სამხედრო ოპერაციების გაავრცელოს მდინარე ზბრუჩამდე. ამ გადაწყვეტილებას რასა კვირველია გავლენა არ ექნება იმაზე თუ უმაღლეს საბჭო გალიციის ბედს მომავალში როგორ გადაწყვეტს."

## იტალიის მუშათა საბჭოები

იტალიის სოციალისტურ პარტიის ცენტრალ კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია ეკონომიურ მდგომარეობისა და პარტიის საპარლამენტო ტაქტიკის შესახებ. პირველ რეზოლიუციაში სოციალისტები იწონებდნენ სოციალისტური პარტიის საერთო გეზს და ეკონომიურ გამოსვლების ტაქტიკას. რეზოლიუცია უარჰყოფს მმართველ კლასებთან ყოველ გვარ თანამშრომლობას თუნდაც შერეულ კომისიების სახით, და მოუწოდებენ სოციალისტებს დააარსონ მუშათა საბჭოები იქ სადაც ჯერ არ დაარსებულა. საბჭოები უნდა შესდგებოდეს მხოლოდ სოციალისტურ პარტიაია წარმომადგენლებისაგან. პროფესიონალ ორგანიზაციებისაგან და დასახიჩრებულ პროლეტართა ლიგის წევრთაგან.

მეორე რეზოლიუცია, ამტკიცებს და იტალიის სოციალისტურ პარტიის რწმენას, ვითომც ბურჟუაზია ვერ იყოს ღღევანდელი საკითხების ღირსეულად გადამჭრის შემძლე კლასი, აცხადებს, რომ პარლამენტის სოციალისტურმა ჯგუფმა პალატას გადასაწყვეტად დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს შემდეგი საკითხები.

1) დაუყონებლივ შეწყდეს ყოველგვარი იტალიის მუშათა საბჭო პირდაპირ და არა პირდაპირი სამხედრო მოქმედება საბჭოთა რუსეთისა და ჰუნგრეთის წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა ხალხების წინააღმდეგ.

2) მოხდეს დაუყონებლივი დემობილიზაცია ყველა ძალებისა.

3) საერთო და ფართო შეწყალება ყველა პოლიტიკურ და სამხედრო დამნაშავეთა.

## გერმანელები აღმოსავლეთის საკითხზე

ფრანგული გაზ. „ტანი" თავის მეთაურში, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს: „მოკავშირეთა მთავრობებმა ცეცხლი გააჩინეს ევროპის ცენტრალურ ნაწილში. აღმოსავლეთშიაც როგორც სჩანს ისე უნდათ მოიქცნენ. ეს საქმე რასაკვირველია ჩვენ თავშიაც არ მოგვსვლია, მაგრამ სხვებიკი ამაზე ჰფიქრობენ. გერმანული გაზ. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი" ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში სწერს, რომ აზიის საკითხები დიდ განხეთქილების საბაბად გადაიქცევა მოკავშირეთათვის, რაც ჩვენთვის მაინცა და მაინც სამწუხარო მოვლენა არ არის.

შემდეგ გაზეთი განმარტავს თუ როგორ ძნელია დიდ სომხეთის განაწილება და შენახვა; იმისთანა ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მოუხედავად ძლიერ ამერიკის მფარველობისა თავის წიაღში ატარებს თავისივე სიკვდილის თესლს.

გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს არაბთა საკითხს ... და დასძენს: „დიდი არაბეთის იმპერიის, შექმნა ინგლისის მფარველობის ქვეშ, რომელიც ხმელთა შუა ზღვიდან სპარსეთის ზღვამდე იქნება გაჭიმული, ნიშნავს ინდოეთის საზღვრის ხმელთა შუა ზღვის ნაპირებამდე გავრცელებას გერმანული გაზეთი თავის მთავრობას. ურჩევს თვალ-ყური ადევნოს აღმოსავლეთს რადგან, თუ ოსმალეთი არ ჩაერევა მაჰმადიანურ მოძრაობაში პანისლამიზმის პოლიტიკას აღმოსავლეთში შეუძლიან მოულოდნელად მძიმე არევ დარევა მოახდინოს.

## ვიტემსკის დაღუპვა.

„საქართველოს" საკ. ცნობა

(ინგ. მის. დეპ.)

დასავლეთ უკრაინის სამხედრო მინისტრი ბ-ნი ვიტემსკი, კამენეც-პოდოლსკიდან უკრაინაში დაბრუნებისას ... ქალაქ პოლტავაზე ჰაეროპლანით, ჩამოვარდა და დაიღუპა. ჩამოვარდნის დროს აპარატი სულ მთლად დაიმსხვრა და ვიტემსკის გვამი ჰაეროპლანის ნამსხვრევებში იპოვეს.

## ვილჰელმის მონაცვლენი

„საქართველოს"-ს საკ. ცნობა

(ინგ. მის. დეპ.)

ბოლო ხანებში ვილჰელმის მონაცვლეობა გერმანიაში ემიდემიად გადაიქცა. უკანასკნელად, გერმანიის გენერალურ შტაბის ყოფილმა უფროსმა ფონ-ფალკენჰაინმა ითხოვა, რომ საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე ვილჰელმის მაგიერ ის განესამართლებინათ.

## ბელაკუნის გადადგომის მიზეზები

„საქართველოს" ცნობა

(ინგ. მის. დეპ.)

ვენიდან მოსულ ცნობით ბელა-კუნის გადადგომა მოხდა მარიამობისთვის 1-ს ღამე საბჭოთა კრებაზე, რომელზედაც ბელაკუნმა მეტად პესიმისტური მოხსენება წაიკითხა საერთო სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენების შემდეგ, გარეშე ძალის გავლენის გამო, ბოლშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა უფლება ითხოვა და გადადგა კიდეც.

## ლევ ტოლსტოის წერილები.

(იხ. მე-20 ტომი გვ. 229)

**იაპონელ იზო აბეს**

ძვირფასო მეგობარო იზო აბე! ჩემთვის ძლიერ სასიხარულო იყო, რომ მივიღე თქვენი წერილი და ჟურნალი ინგლისური წერილითურთ. რისთვისაც სულით, გულით გმადლობთ. თუმცა მე ეჭვი არადროს არა მქონია, რომ იაპონიაში ბევრი არიან, გონიერნი, ზნეობით სპეტაკნი, ღვთის მოსავნი და წინამდეგნი შემაძრწუნებელი ომისა, რომელსაც ჰქმნიან მოტყუებულნი და გასულელებულნი ერნი. მე ძლიერ მიხარიული ვარ, რომ მივიღე თქვენგან დამტკიცება ამისა. მიხარიული ვარ, რომ მყავს მეგობარნი და თანამზრახველნი იაპონიაში, რომლებთანაც მე შემიძლიან მეგობრული განწყობილება მქონდეს.

მსურს რომ ვიყო თქვენთან გულწრფელი, როგორც მინდა ვიყო ყველა ჩემ მეგობრებთან, უნდა გითხრათ რომ მე არ მომწონს სოციალიზმი და ჩემთვის საწყენი იყო,როდისაც გავიგე რომ მოწინავე ნაწილმა გონებით განვითარებულმა, თქვენმა ნიჭიერმა ენერგიულმა ერმა გადაიღო ევროპიდან ეს საშინელი სუსტი, ლაჩრი და მცდარი თეორია სოციალიზმისა. სოციალიზმს მიზნად აქვს დაკმაყოფილოს სულყველა უმდაბლესი მხარე კაცობრიულ ბუნებისა (ნივთიერი კეთილდღეობა) და ამასაც სრულიად ვერ აღწევს იმ საშუალებებით, რომლებზედაც იგი უთითებს.

ჭეშმარიტი კეთილდღეობა კაცობრიობისა სულიერი და ზნეობითი—შთაიცავს შიგ ნივთიერ კეთილდღეობა. და ეს უმაღლესი მიზანი მიღწეული იქმნება მარტო სარწმუნოებრივ—ზნეობრივ განვითარებით ყველა ერთეულ პიროვნებისა, რომელნიც შეადგენენ ერს და კაცობრიობას.

სარწმუნოება მე მეყურება, რწმენა საღვთო სჯულისა მთელი კაცობრიობისათვის, რომელიც პრაქტიკულად გამოთქმულია სიყვარულის მცნებაში ყველა კაცისადმი და იმ მოქმედებაში რაც შენ გინდა სხვისთვის, რომ სხვებმაც შენ გიყონ. მე ვიცი რომ ეს გზა ისე მიმზიდველი არ მოჩანს, როგორც სოციალიზმი და სხვა თეორიები, მაგრამ იგი ერთად ერთია უტყუარი. ყველა ჩვენი მეცადინობა, რასაც ვეწევით, რომ განვახორციელოთ მცდარი და შეუსრულებელი თეორიები იკარგება ერთად ერთი მართალი საქმისათვის—კაცობრიობის და ყოველი ეროვნულის ბედნიერების მიღწევისათვის. მაპატიეთ თქვენის მოძღვრების ჩემი გაბედული კრიტიკისა გამო და მერწმუნეთ ჩემს გულწრფელ მეგობრობაში. ყოველთვის მხიარული ვიქნები, რაჲ თქვენგან ცნობები მივიღო ხოლმე.

1905 წ.

### სხვა იაპონელს.

ძვირფასო მეგობარო!

ჩემ წიგნებში „ქრისტიანული სწავლა" (Христіанское ученіе) და რა-

შია ჩემი რწმენა (въ чемъ моя вѣра) თქვენ იპოვნით პასუხს კითხვებზე, რომლებსაც თქვენ მაძლევთ.

სრულიად საჭირო არ არის, რომ იყო ქრისტიანი, ბუდის მიმდევარი, კონფუციანელი და ანუ მაჰმადიანი არ არსებობს გარეგანი ავტორიტეტი, რომელსაც კაცი უნდა ერწმუნოს. მაგრამ ყველა კაცს უნდა ჰქონდეს სარწმუნოება, ესე იგი უნდა ჰქონდეს გონივრული განმარტება და გადაწყვეტილი მიზანი თავის სიცოცხლისა. გონივრული ახსნა—განმარტება სიცოცხლისა ყველას შეუძლიან იპოვოს თავის სარწმუნოებაში. ეს ახსნა სუყველა სარწმუნოებაში ერთი და იგივე არის და მდგომარეობს შემდეგში. კაცი არის მსახური უმაღლესი ძალისა (вѣстей власти), რომელსაც ჩვენ ვეძახით ღმერთს და მან კაცმა უნდა შეასრულოს ნება უმაღლესი ძალისა. ნება ამ ძალისა არის ერთობა ყველა ხალხისა, რომელიც მიღწეული იქნება სიყვარულით ვინც ამას ასრულებს, მან არ იცის და არ ხედავს ბოროტებას არც სიცოცხლეში და არც სიკვდილში. ეს ჭეშმარიტებანი მოიპოვებიან ბრამის, ბუდას, იუდიელების, ქრისტიანულ მაჰმადიანურ და ყველა დიდ სარწმუნოებებში. და არა ესაჭიროებათ მათ ვისიმე „ავტორიტეტი", რომ მიღებულ და ღიარებულ იქმნენ, რადგანაც იგინი თვითონ შეიცავენ უმაღლეს ავტორიტეტს, რომელიც კი შეიძლება იყოს: შინაგანი გამართლება სინდისისა (внутреннее оправданie совѣсти). მარტო ამნაირ სარწმუნოებას შეუძლიან განთავისუფლოს ხალხი ბოროტებისაგან, რომელსაც თითონ იგინი ჰქმნიან. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, დაღლევა ცრუმორწმუნოებისა, რომელიც ამახინჯებს ყველა სარწმუნოებას და გავრცელება ესეთი ერთად-ერთი საყოველთაო სარწმუნოებისა მთავარი და უმთავრესი მოვალეობაა ყველა თვითეულის კაცისა.

თქვენი მეგობარი.

14 მარტისა 1905 წ.

გ.

# აზერბაიჯანი

**აზერბაიჯანის ჯარი ბაქოში.**

მარიამობისთვის 14-ს ბაქოში ჩავიდა ზაქათლის ოლქიდან აზერბაიჯანის ლაშქრის ზაქათლის პოლკი.

**კაბინეთის შეცვლის გარშემო.**

„აზერბაიჯანში" დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: „ჩვენ დაგვავალეს ყველას საყურადღებოდ განვაცხადოთ ცნობა, რომ ვითომც უსუფბეგოვს ახალი კაბინეთი შეედგინოს, და ვითომც პორთფელთა განაწილება კიდეც მომხდარიყოს, სიმართლეს არ შეეფერება.

**აზერბაიჯანის ელჩის ჩამოსვლა ბაქოში.**

კასპიის იქითა ოლქებში აზერბაიჯანის ელჩად მყოფი სადიკოვი სამსახურის საქმეებზე მარიამობისთვის 12-ს ბაქოში ჩამოვიდა.

**ბარათოვთან მოლაპარაკება.**

გენ. ბარათოვისა და აზერბაიჯანის შორის მოლაპარაკება ნორმალურად მიმდინარეობს. მის მიერ წაკითხული მოხსენება სამხედრო წრეში და საგარეშე საქმეთა სამინისტროში დიდს გულის ყურს იწვევს. როგორც ჩანს ზოგიერთ საკითხებში შეთანხმება ახლო მომავალში მოხდება.

**ხორცის დამზადება მოსახლეობისათვის.**

ცენტროდომმა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს თხოვნით მიმართა რომ ითაოს საქონლის ხორცის დამზადება მცხოვრებთათვის. სამინისტრომ უარით უპასუხა, რადგან ამისათვის არ მიეპოვებოდა არც თანხა და არც სპეციალისტები.

# არჩევნები მესხეთ-ჯავახეთში.

ამ თვის 12-ს დასრულდა მესხეთ-ჯავახეთში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები. ხალხი, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაში ძლიერ დაზარალდა, ეჭვი არ არის, ამ მოსავლის მოგროვების დროს, სავსებით არჩევნებს ვერ მიეცემოდა. ამას გარდა, მთავარი გულგრილობის მიზეზი იყო ის უწესოება, რასაც სოც.-დემოკრატები იჩენენ. მაგრამ ამავე სოც.-დემოკრატების რეპრესიული ზომებითა და ყველად მიუღებელი საქციელის წყალობით მოხდა ისიც, რომ ხალხი ყუთებთან ბუზღუნით მოდიოდა, თუ რამეს იტყოდა —მხოლოდ კერძო საკუთრების მოსპობის წინააღმდეგ... და მაინც პირველ ნომერს აძლევდნენ. ყუთები ჯერ მთლად არ არის დათვლილი, მაგრამ დათვლილიდან ცხადია, რომ აბსოლიუტური უმრავლესობა სოც.-დემოკრატებს ექნებათ... მომხდარ ამბების გამო, ახალციხის სამაზრო საარჩევნო კომისიაში შევიტანე შემდეგი საპროტესტო განცხადება, რომლიდანაც ყველა გაიგებს თუ როგორი წესით სწარმოებდა აღნიშნული არჩევნები.

„მე, როგორც ეროვ.-დემ. პ. მთავარი კომიტეტის რწმუნებული ვესწრებოდი სხვა და სხვა საარჩევნო კომისიათა მუშაობას და ამ ხნის განმავლობაში შევამჩნიე შემდეგი უკანონობა—უწესოებანი: 1. კედლებზე გაკრულ 2, 5 და 8 ნომრის სააგიტაციო ფურცლებზე ქ. ახალციხეში სოც.-დემოკრატების აგენტები, ხოლო სოფ. არალში ამავე პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი პატრი შალ. ვაბლიძე, პირველი ნომრის ბიულეტენებს აკრავდნენ, რის მოწამეც ადგილობრივი მცხოვრებნი არიან; 2. სოფ. უდეში არ იყო, დაცული ფარული წესი: ამომრჩეველთ ფურცლები ხელში ეჭირათ, გადასცემდნენ თავმჯდომარეს და ეს კი კონვერტში თვით სდებდა და ყუთშიაც აგდებდა. ბიულეტენები მეორე ოთახში, ან მოფარებულ ადგილას კი არა, გარეთ აივანზე ეწყო; ოთახი სავსე იყო ხალხით, რომელსაც გვარდიელნი და მილიციელნი კვლავ ბილიუტენებს აჩრიდნენ ხელში. ყველა ამების გამო იქვე პროტესტი განვაცხადე და ოქმიც დავწერე, რაზედაც სოც.-ფედერალისტებისა და ეროვნული პარტიის წარმომადგენელნი დამეთანხმნენ, მაგრამ სოც.-დემოკრატებმა და მათ დანიშნულ კომისიის წევრებმა იგი არ მიიღეს და ოქმიც უმნიშვნელოდ დარჩა; 3. სოფ. არალში დედაკაცებსა და მოხუც კაცებს, რომელთაც ნომრის ცნობა სრულიადაც არ იცოდნენ და შეცდომას ერიდებოდნენ, თვით კომისიის წევრნი ძალით აგროვებდნენ და ხელში აძლევდნენ ეზოში აშკარად დაწყობილ ფურცლებსა, და მხოლოდ ამის შემდეგ ჰგზავნიდნენ ცარიელ ოთახში. ამის გამოც მე, სოც.-ფედერალისტმა, ეროვნული პარტიის წარმომადგენელმა და სოც. დემოკრატების რწმუნებულმაც კი ოქმის შედგენა მოვინდომეთ, მაგრამ კომისიის თავმჯდომარემ წაიღო ხელი ყუთსა და კონვერტებს და დაიძახა: „თუ რამე დაგიწერიათ, ეს წაშლა არჩევნებს შევსწყვეტავო". დავემორჩილეთ. 4. სოფელ-სოფელ დადიოდნენ გვარდიელნი (ახალციხის გვარდიის შტაბში ირგვლივ მდებარე სოფლებში მცხოვრები გვარდიელნი ხუთ-ხუთი დღის შეღავათით („ოტპუსკით") დაასაჩუქრეს არჩევნების „ხელისშესაწყობად" სოფლებში დაგზავნა, რომელნიც სოფელთ პირველი ნომრის ჩაგდებას ურჩევდნენ; 5. მთავრობის რწმუნებული ლეო რუხაძე მაჰმადიანთა სოფლის მილიციის უფროსს ფაზილ-ალას და სოფ. ვარხანის კომისარს ხან ავტომობილით ატარებდა და შეიარაღებულ — ცხენოსან მილიციელების თანხლებით სხვა და სხვა სოფელში ჰგზავნიდა და ამ გვარად ადმინისტრაციის საშუალებით ხალხს პირველი ნომრის ჩაგდებას უბრძანებდა; 6. სოფ. უდეს საზოგადოების საარჩევნო კომისიათა ინსტრუქტორი ბ-ნი ირ. ბოლქვაძე თვით შეიარაღებული მილიციით სოფელ-სოფელ დადიოდა არჩევნების დღეებში ამ სახით „ინსტრუქტორობდა"... 7. სოფ. არალში ყველა სია (გარდა მირველისა), განსაკუთრებით კი № 5, თხუთმეტიოდე იყო და ჩვენ რომ არ დაგვემატებინა, საშველი არ იყო; ამომრჩეველთა სიები უსწორ-მასწორო იყო: უალფავიტო, ბევრის გამოკლებით, გაურჩევლად. ამის გამო კენჭის ჩაგდების უფლებას აძლევდნენ ყველას, იყო სიაში შეტანილი, თუ არა ამის წინააღმდეგობა ვერ გავბედეთ (თუმცა ვსთქვით კი), და დავეთანხმეთ, რადგან სამაზრო კომისიამ დაადგინა: სიების შევსება თვით არჩევნების დღესაც შეიძლებაო.

ყველა აქ ჩამოთვლილი და მრავალი სხვა მაგალითები დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებათა ძირითად მუხლების დარღვევათ და თვით ამ კრების შეურაცხყოფად მიმაჩნია;—და წერილობით ვაცხადებ რა ამას, მოვითხოვ, რომ ეს განცხადება სხვა საარჩევნო საქმეებთან ერთად გაგზავნილ იქმნეს ცენტრალ საარჩევნო კომისიაში—ქ. თბილისში.

აი, ასეთი ამბების მოწმე ვიყავი მე თვითონ; მაგრამ ისეთი, რასაც მე ან სხვა ჩემისთანა არ დასწრებია, ალბათ აურიცხველი ყოფილა..

და ასეთი არჩევნების შედეგი რომელიმე პარტიის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

მიხ. ხერხეულიძე.

# პატარა ფელეტონი

გაზეთ „ერთობის" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ვინმე ჯოუტ მეურნის (კავთისხევიდან) წერილი რომელსაც შარშანდელი მოსავალი და წრეგანდელიც, რაც მოსულია დღემდე ქურდებმა მოუკრიფეს. ქურდების ძებნაში დახელოვნებულ მეურნეს თითქმის ყველა ქურდები დაუჭერია და კომისრისთვის გადაუცია, მაგრამ ამაო იყო მისი თხოვნა, მთელი წლის მოსავალმა მუქთად ჩაუარა".

ამდენ ჭირის ამტანი მეურნე სწერს: „ბევრს არ გავაგრძელებ, მხოლოდ ფაქტებს მოგითვლით.

გაზაფხული, 1918 წ.

გავთიბე ბალახი, თივა მომპარეს, ქურდს მივაგენი კომისარს გამოუცხადე. უყურადღებოდ დარჩა ჩემი თხოვნა.

2. ყურძენი დამიმწიფდა, ქურდები შემომეპარნენ, დავიჭირე, კომისარს მივმართე ესეც უყურადღებოდ დარჩა.

3. გამიკრიფეს 40 ძირი კომში აღ არ გამოვაცხადე თუმც ვიცოდი ვინც მომპარა.

4. ბოსტანში ბლომად მქონდა სტაფილო და ჭარხალი, ბიჭ-ბუჭები სტაფილოს მიადგნენ, ღორები ჭარხალს. სტაფილო როგორც იყო ამოვიღე თუმც ბლომად მომპარეს. ჭარხლის ამოღება კი ვერ მოვასწარი რადგან დიდი უამინდობა იყო და სულ ერთიანად ღორებმა შემიჭამეს, შეჭმული ჭარხალი იქნება დაახლოვებით 500 ფუთი რაც შარშანდელი ფასების კვალობაზე ღირდა ექვსი ათასი მანეთი. თითქმის ათჯერ მაინც გამოუცხადე კომისარს და ვთხოვე ოქმი შეედგინა, მაგრამ ამაო იყო ჩემი თხოვნა. ასე და ამ გვარად მთელი წლის შრომამ ტყუილად ჩაიარა და ზარალიც საგრძნობელი იყო.

1919 წელი.

1) გავთიბე ბალახი, მომპარეს თივა; არავისთვის გამომიცხადებია, ქურდს მივაგენ.

2) ჩემი ბაღის გვერდით ჩემ მეზობელს სატაცური უდგია. ქურდი დავიჭირე რომ სთხრიდა, რადგანაც ჩემი სტუმარიც არის ხოლმე. კომისარს ვაცნობე, ბარათიც მივწერე არაფერი გამოვიდა.

3) სათესლედ დავრგე სტაფილო ამოიღეს ძირიდან შემიჭამეს. ქურდები ვერ დავიჭირე.

4) ნიორი მქონდა ბლომად დარგული. გამიგლიჯეს. ვერც ეხლა გავიგე ვინ მომპარა ან რომ გამეგო კიდეც რაში მოვიხმარდი?

მე მაინც ჩემსას არ ვიშლი, ვშრომობ და ვმეურნეობ. ეხლა ხეხილსაც მისხია, ვაზსაც და აგრეთვე ბოსტანიც კარგა მოზდილი გავაკეთე, სადაც ჭარხალიც ხევრია და სტაფილოც და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თავის დროზე ყველა ამას სოფლის ქურდბაცაცები დაუწყებენ ზიდვას. მეც რასაკვირველია ყოველთვის თუ არა ხანდისხან მაინც დავიჭერ ქურდებს გაუგზავნი კომისარს და ვიცი რომ ჩემი ცდა უნაყოფოდ დარჩება.

ალარ ვიცი რა ვქნა და ან ვის მივმართო და თუ არაფერი საშუალება გამოვნახე სწორეთ რომ გამიჭირდება ცხოვრება.

სოფელი ხომ მოგახსენეთ, სადაც ეს ხდება იმასაც გეტყვით, რომ კამისარს ქვიან „ამხანაგი" ოღდო სესიკოლაშვილი მხოლოთ ამის დამწერს კი გიორგი ჩიგაძე.

—

საწყალი მეურნე!

„მე ჩემსას მაინც არ ვიშლი, ვშრომობ და ვმეურნეობ"-ო.

მერე რისთვის?

ალბად მისთვის რომ საშემოდგომოდ, ამაზედ უფრო გრძელი „მოხსენება" წარუდგინოს გაზეთ „ერთობის" რედაქციას!

საიდანაც არაფერი არ გამოვა, და ის ქურდბაცაცები კი ალბად ძლიან ინანებენ ასეთ გულწრფელ „მოხსენების" წერას.

და კიდევ კარგი თუ მხოლოდ „ვირის მუშად" დარჩა.

და თუ სახლიც არ მოჰპარეს!

და ბოლოს

ამ ახირებულ მეურნეს ერთი დიდი ხიფათი ელოდება რომელიც ჯერ ალბად არ იცის.

და ჩვენ ვშიშობთ თუ თვითონაც არ მოიპარეს, რადგან ეს თბილისში პრაქტიკაშია კიდეც და რის შემდეგ განცხრომით დაისვენებენ როგორც ადგილობრივი მილიცია ისე გაზეთი „ერთობა"-ც.

ბ. ბ.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 16.

## ფრანგული პრესა

**ხუთთა საბჭოს სხდომა.**

ხუთთა საბჭოს სხდომა ოთხშაბათისთვის გადაიდო, რადგან ამერიკის დელეგაციას ჯერ არ მიუღია ინსტრუქციები ფრაკიის საკითხის შესახებ და არ შეუძლია დაადასტუროს ნავთსადგურის ნეიტრალიზაციის პროექტი.

**კლემანსოს გამგზავრება.**

კლემანსო ვანდეაში მიემგზავრება დასასვენებლად. მის მაგიერ ხუთთა საბჭოს თავმჯდომარედ პიშონი დარჩება.

**სიძვირე პარიზში.**

ცხოვრების სიძვირემ არა სასურველი ინციდენტები გამოიწვია პარიზსა და პროვინციაში, მაგრამ დიდი ინციდენტები მაინც არ მომხდარა, შესაძლებელია სურსათის ნაკლებობამ სიძვირე გააძლიეროს, რასაც უწესოებაც მოყვება ამიტომ ზომებს იღებენ ამის თავიდან ასაცილებლად. ხვალ მუშაობას დაიწყებს ნორმალურ ფასების დამყარების კომისია. ყოველი ვაჭარი მოვალე იქნება გასაყიდ საქონელზე გამოაკრას ფასი როგორც დანიხრულზე ისე დაუნიხრავზე. მუშავდება კანონი, რომლის ძალითაც დაინიხრება აგრეთვე ფანისამოსი.

**ცეცხლი ვენსენში.**

ხუთშაბათს დღისით ვენსენში ცეცხლი გაუჩნდა სამხედრო ავტომობილების გარაჟს. მალე ცეცხლი 5000 მეტრის სივრცეს მოედო. დღეს სრულიად განადგურებულია. ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა მახლობელ სახელოსნოებს, სადაც მრავალი მანქანა და დიდძალი იარაღი იყო. ზარალი მილიონ ფრანკს აღაწევს.

## გერმანული პრესა.

**გერმანელ ტყვეთა საკითხი.**

ეროვნულმა ყრილობამ ვეიმარში სამშაბათს რამოდენიმე კანონი განიხილა გადასახადების შესახებ და შემდეგ ერთმა დეპუტატმა შეკითხვა შეიტანა ამიერ კავკასიაში და ინგლისში მყოფ სამხედრო ტყვე-გერმანელების შესახებ, რომელთაც როგორც გაზეთები იუწყებიან, თურმე ეუბნებიან ვითომ გერმანიის მთავრობას არ სურდეს მათი სამშობლოში დაბრუნება და ამისთვის არავითარ ზომებს არ ღებულობდეს მიულერმა განაცხადა, რომ მთავრობამ უკვე გამართა მოლაპარაკება ტყვე გერმანელების სამშობლოში დაბრუნების დასაჩქარებლად. ბოლო ხანს გაზეთები სწერენ თითქოს მთავრობა ზომებს არ ღებულობდეს. „დოიტშე ცეიტუნგ"-ში მოყვანილია ტყვე ოფიცერის წერილის ერთი ადგილი სადაც სწერია, ინგლისის მთავრობამ ტყვეებს განუცხადა რომ თუმცა ინგლისის მთავრობამ რამდენჯერმე მიმართა გერმანიის მთავრობას, მაგრამ უკანასკნელმა წარმომადგენლები არ გამოგზავნა ტყვეების დასაბრუნებლადაო. სხვა ცნობებით კუნძულ მალტაზე ტყვეებს აუწყეს, რომ გერმანიის მთავრობა გემებს არ გზავნის ტყვეების გადასაზიდად. გერმანიის მთავრობა ეჭვობს, რომ ინგლისის ოფიციალურ ბრძანებებში და განმარტებებში ამის მსგავსი რამე ყოფილიყო გამოცხადებული. გერმანიის მთავრობამ ყოველივე ზომები მიიღო რომ ტყვე-გერმანელებს აუწყოს საქმის ნამდვილი გარემოება და აგრეთვე მიღებულია ზომები მათ დასაბრუნებლად. მოკავშირეთა პრესა მოითხოვდა, რომ ტყვე-გერმანელები აოხრებულ ოლქების აღსადგენად გაიგზავნათ, რის გამო თავის დროზე გრაფმა რანტცაუმ ვერსალში პროტესტი განაცხადა და მაისის 10 მოკავშირეებს ნოტა გადასცა ტყვეების დაბრუნების საკითხის გამოსარკვევად. არც ის შეეფერება სიმართლეს, თითქოს გერმანიას არ დაენიშნოს თავისი წარმომადგენლები სამხედრო ტყვეთა კომისიაში. აგვისტოს 1 პარიზში ისევ სთხოვა კონფერენციას ყურადღება მიექციათ ტყვე-გერმანელების საკითხისთვის. გერმანიის მთავრობას საკმაო გადასაზიდი საშუალებანი არ მოეპოვება, მაგრამ ამ მხრივ ყოველ შესაძლებელ ზომებს ღებულობს.

# საზღვარზე

1918 წ. მწარე სინამდვილემ სადგური ნატანები საქართველოს სახელმწიფოს საზღვრად აქცია...

ნატანების იქით ჩვენ მტრებს ვსჭვრეტთ.

# ნ. თავდგირიძის მოხსენება საქართ. მთავრობას

(დასასრული).

მაგრამ ამ სიმართლის გამჟღავნებისთვის კი არ ამხედრებულან ჩემს წინააღმდეგ ჩემგან ზემოდ აღწერილ გარემოების შემქნელი პირადები. პირადი თავმოყვარეობის და გაბუიდებული პატივმოყვარეობის შელახვა ვერ მოითმინა ორიოდე, ამ ჟამად დიდებულმა პირმა როცა აფხაზეთის სახალხო საბჭო ეგრედ წოდებულ „კაბინეტს" ადგენდა, მე, როგორც წევრი საბჭოს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოდ წინააღმდეგი ვარ აფხაზეთში ასეთ რთულ და მრავალნაირ კულტურულ საშუალებათა მოითხოვ ორგანიზაციის, არამედ იმიტომ, რომ არსებულ პირობებში ეს ზედ-მეტ ბარგად მიმაჩნდა ხალხისათვის. ჩემი აზრით საკმარისი იყო ერთი მცოდნე, გამოცდილი მმართველის არჩევა და ის თავის შესაფერ თანაშემწეებს მოიწოდებდა; ამ წესით ძირითადი ცვლილება არ მოხერხდებოდა. აფხაზეთის მართველობას თავის დაწესებული ტრადიცია—ისტორია აქვს, შეგნებული და გამოცდილი კაცი მალე შეისწავლიდა ყოველივე გარემოებას და საქმე მალე ჩადგებოდა სასურველ კალაპოტში; მაგრამ აფხაზეთის პარლამენტის შემადგენლებს და ქვეყნის შემთხვევით პატრონებს პარტიათა შორის „პორტფელების" უფლების დანაწილება ეინტერესებოდა, თანაც დიპლომატიური მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ: მთავრობის შემადგენლობაში აფხაზთა უპირატესობა უნდა დაცული ყოფილიყო, რუსების უფლება-მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებული და ქართველი, ვინც გერიოდა შიგ, სულ ერთი იყო; რაკი ოპოზიციურად განწყობილმა „მოპოლშევიკი" და მემარჯვენე აფხაზებმა უარი განაცხადეს მთავრობის შემადგენლობაში მონაწილეობის მიღებაზე, მთელ საბჭოში სამი კაცით წარმოდგენილ, აბხაზეთში სრულიად უნიადაგო უმეტეს ნაწილად, რუსებისგან არჩეულ პარტიას—ესერებს დაუთმეს ერთი მინისტრის ადგილი.

ესერებმა, რაკი თავიანთ წრეში შესაფერი კაცი ვერ მოძებნეს, საქართველოში მინისტრად ყოფილი ი. ლორთქიფანიძე გამოიწვიეს; ყველას, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიისა, დიდათ გვეწყინა: ნუ შევეხებით იმას, მართალია, თუ არა ის ხმები, რომლის გამო ყოფილმა მინისტრმა თვითონ დაინახა საჭიროდ თავის ნებით საიქიოს გამგზავრებულიყო; ჩვენ იმ აზრს ვადგვით, რომ საზოგადოთ პოლიტიკურ მოღვაწეს არავითარი მწიკვლი, არც ერთი წამოსაძახებელი, ზნეობის შემლახავი რამე შემთხვევა არ უნდა ჰქონდეს; განსაკუთრებით დიდათ დაკვირვება უნდა განაპირა ადგილებში საპოლიტიკოდ არჩეულ კაცს. თუ ჩვენ ამ ახალ პირობებში აფხაზეთის სამმართველოში ქართველის დანიშვნას მოვისურვებდით, ის უსათუოდ ყველა ეროვნებისათვის და განსაკუთრებით აფხაზეთისათვის თავის მოღვაწეობისთვის კარგი სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი. როგორც სადგისი ტომარაში არ დაიმალება, ისე ადამიანის სახიფათო შემთხვევა თუ ის ზნეობრივ მხარეს შეეხება, არ დაიფარება. როცა აფხაზეთის საბჭოში დაისვა საკითხი, რომ სამ არჩეული კაცისაგან უნდა იქნეს შედგენილი აფხაზთა მართველობა და ერთ მათგანად მესამე, რა თქმა უნდა, და არა პირველად და მეორედ, სამი ესერის წრიდგან ი. ლორთქიფანიძის ხმა ისმოდა, სამი ესერის აზრის წრიდგან, მოვითხოვე საბჭოსაგან ერთი კაცი ავირჩიოთ ჩვენს წინაშე პასუხისმგებელი და იმაზე, ვინც უნდა მოიწვიოს თანაშემწეებად; ჩვენ სხვებს ვერ ვიცნობთ და ჩვენთვის ეს საჭიროც არ არის მეთქი. ამ ჩემ სიტყვებს დიდათ გაუმჯავრებია ი. ლორთქიფანიძე; ეს გამოჩნდა ერთი შემთხვევის შემდეგ: საქალაქო არჩევნების წინ რაღაც შემთხვევის გამო მიტინგი იყო ხალხის შესაკრებ ადგილზე—ზღვის ნაპირად; ი. ლორთქიფანიძე გადმოდგა სასტუმროს მეორე სართულის აივნიდგან, რაღაც დაგლეჯილი ქაღალდი ეჭირა ხელში და იმას „დემონსტრაციით" დაიწყო სიტყვა: „მოქალაქენო! შეხედეთ ამ ქაღალდს—ეს არის ნაწარმოები ადგილობრივ „ბურჟუების" წარმომადგენლების—ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის; იმ დროს, როცა ევროპის შეგნებული კაპიტალისტები ქედს იხრიან სოციალიზმის წინაშე, აქ ქართველი ვაჭრები ზიდავენ ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებასო. ყველას გაუკვირდა. არც ერთი ხალხის მისამართი ბარათი არ დაიწერება სახუმროდ ისე, რომ რომელიმე პარტიის მეთაურმა არ იცოდეს; ეს ამბავი კი არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა. მართალი მოგახსენოთ, არ მინდოდა ამ განცხადების გამო საკითხი აღმეძრა, მაგრამ პარტიის წევრებმა კატეგორიულად მომთხოვეს გამომერკვია ეს ცნობა; იძულებული შევიქენი ღია წერილით ადგილობრივ გაზეთში შეკითხვა მიმეცა ილ. ლორთქიფანიძისათვის: სად ეროდის და ვისგან არის გამოქვეყნებული ის წერილი, რომელიც თქვენ აჩვენეთ მეორე სართულიდგან საზოგადოებას მეთქი. ლორთქიფანიძემ გაზეთივე მიპასუხა, რომ „ის წერილი, თუმცა ფოთშია დაწერილი, მაგრამ ეს სულ ერთია; აქ მართალია ასეთი განცხადება არ დაწერილა, მაგრამ ეტყობა შავრაზმელობა აქაც ფეხმოკიდებულიაო. ერთი მათგანი გაზეთებში კრიტიკულად არჩევს სოციალისტების მოქმედებასო გასაკვირალია ისეცო რომ „თქვენ ნიკო თავდგირიძემ განაცხადეთ აბხაზთა საბჭოში, ვითომ მე ვერ მიცნობითო." ვაი, რომ კარგად გიცნობდი და ამიტომ არ მინდოდა ჩვენიანობის გამჟღავნება. ამას შემდეგ ქალაქის არჩევნები იყო და იქ ი. ლორთქიფანიძე აშკარად წავიდა ჩემ წინააღმდეგ: სოციალისტების ბლოკთან შეთანხმდა არჩევნების დროს ზომიერების მომხრე ხმოსნები, რომელნიც სულ 21 კაცია ორმოც ხმოსნიან საბჭოში. ყველა სოციალისტურ პარტიას თითო ადგილი დაეთმო გამგეობის შემადგენლობაში; ქალაქის თავი ყველას შეთანხმებულად უნდა აერჩია. ყველასაგან ჩემი კანდიდატურა იყო დასახელებული, მაგრამ ი. ლორთქიფანიძის დაჟინებით შეთანხმება არ მოხდა, მე კი მხოლოდ საერთო თანხმობას ვთხოულობდი, ამიტომ გამწვავდა განწყობილება და უმრავლესობას ერთი ადგილიც არ რგებია აღმასრულებელ ორგანოში. მე ამის შემდეგ მალე თბილისში წამოვედი; ი. ლორთქიფანიძეს, ამ ჟამად აფხაზეთის იუსტიციის კომისრად წოდებულს გულღვარძლიანობით აღზნებულს ერთი უტაქტობა და კანონის საწინააღმდეგო მოქმედება კიდე ჩაუდენია: აფხაზეთის მომრიგებელ მსაჯულთა ყრილობა, რომლის არჩეული თავმჯდომარე მე ვარ და დღემდის საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე პასუხის მგებელი ვარ, თავის ნებით, ცენტრის დაუკითხავად, გაუუქმებია.

რომ ეს კანონის საწინააღმდეგო მოქმედება იყო იმიდგან სჩანს, რომ ჩვენმა მთავრობამ 29 ივლისისთვის გააუქმა აფხაზეთის კომისარიატის დადგენილება მომრიგებელ მსაჯულთა ყრილობის შესახებ. ამ ფაქტების შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ იქ სადაც ი. ლორთქიფანიძეს გასავალი, ნდობა და უფლება ჰქონდა, ყოველივე ზომას მიიღებდა იმ ავტორის წინააღმდეგ, რომელიც „მეგობრის" ფსევდონიმით, მაგრამ მისგან ადვილად მისახვედრი კილოთი, ამ ჟამად „დიდ ადამიანებთა" შესახებ შემდეგს სწერს (იხ. „საქართველო" 27 თიბათვე № 132): „შინაგან საქმეთა, სასურსათო და შრომის სამინისტროთა სათავეში—გარუსებული ებრაელი ტუმარკინი. უნდა ითქვას სამწუხაროდ ჩვენდა, ის სიმართლე, რომ ჩვენი მართველი პარტიის განზრახ, თუ უნებლიეთ შეცდომების გამო, ეს უცხოელი უფრო შესაფერია თავის ადგილისათვის, ვინემ სხვა ადგილობრივი წრიდგან არჩეული ქვეყნის მართველები. საერთო განათლების, სამსაჯულო დაწესებულებანის და გზათა უწყების სამინისტროთა სათავეში საქართველოდგან „საგმირო საქმეების" გამო საიქიოს თავის ნებით წაბრძანებულად გამზადებული, ყოფილი მინისტრი აღმოჩნდა; ეს მოვლენაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ღირსებას და პრესტიჟს აცირებს აბხაზეთში: „ქართველებს აფხაზეთი თავის უვარგის და ცხოვრებაში გამოუდეგარ მოღვაწეობისათვის უნდათ"-ო, ამბობენ ჩვენი მოწინააღმდეგეები.

თვით საიქიოს მაგიერ აბხაზეთში თავმოყუდებული მინისტრიკი მხოლოდ უცხოელებისგან შემდგარ მაცდურ უნიადაგო ესერების პარტიის მიოხვებით გაბნდა; ამიტომაც აქ —აბხაზეთში ის უარჰყოფს ყოველივე ქართველურს: ქალაქის საბჭოში საქვეყნოდ განაცხადა, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს მდივნისათვის ქართული ენის ცოდნა არ არის სავალდებულო. ამ აზრმა რუს ებრაელების დაბერძნების დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამდე ბათომი ტყვეობაშია თამარის და ანარიის სიმაგრეებზე საქართველოს დროშა არ აღმართულა მანამდე ჩვენ ნატანებს უნდა გავუფრთხილდეთ...

მტერ-მოყვარე თუ დაზვერვის მწარმოებელი პირველად ჩვენ ნატანებში შეგვხვდება—აქედან იწყებს ყველა საქართველოს გაცნობას.

ხშირად მტერი—ან მოგზავნილი აგენტი ნატანების შთაბეჭდილებით კმაყოფილდება და უკან ბრუნდება.

ორი დღით მოსული თეთრი გულის სტუმარიც პირველად ნატანებში დაგვიკრავს თავს და აქ დათვალიერებს საზღვრის მცველებს და გასინჯავს წესრიგს ამიტომ ვიდრე ნატანები საქართველოს საზღვრად ითვლება, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენს ჯარს აქ საუკეთესო ტანთსაცმელი უნდა ეცვას, რკინის დისციპლინა ჰქონდეს, დღეს კი აქაური მოსაზღვრე რაზმი სრულიად მოუვლელია იგი რუსის ჯარისკაცის სახეებს აცოცხლებს...

საზღვრებზე რჩეული ხალხია საჭირო, ცოტა განათლების პატრონი, ზდილობიანი და სამსახურის სასურველად შემსრულებელი.

საბაჟოსაც დიდი ნაკლი აქვს. აქაურ საბაჟოს წინ მუდამ ერთი ყვირილი და ჩხუბია. ვაჭრები თუ კერძო პირები საქონლის გაჩხრეკის დროს ყვირილს მორთავენ ამას გულცივად შესცქერიან მოსაზღვრე რაზმის ოფიცრები და მოხელეობა რაც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს უცხოელებზე. საჭიროა, ამ გარემოებასაც მიექცეს სასტიკი ყურადღება, საზღვარზე მოისპოს ასეთი აზიური „ალიაქოთი".

გარდა ამისა ამ მხარეზე საჭიროა გაცხოველებული კონტრ-დაზვერვის წარმოება. ნუ დაგვავიწყდება, რომ დენიკინის აგენტები აჭარა-გურიაში კარგა ხანია დაწრწიან.

მეტი ყურადღება საზღვრებს, სიფხიზლე ნატანებში.

ი. დიდიძე.

## ხელშეუხლებლობა თუ თვითნებობა

კურიოზმა ლამის არის ყოველდღიურ ამბების ხასიათი მიიღოს და საქართველო კურიოზთა ქვეყნად გადაიქცეს. რაც არ უნდა ბილო და რასაც უნდა შეეხო, რომელსაც ჩვენში აქვს ადგილი ყველაფერს კურიოზის ხასიათი აქვს. ის რაც შეუძლებელია სხვაგან, სხვა ქვეყნებში, ჩვენში არამც თუ შესაძლებელია, არამედ იოლი და ადვილი საქმეა. თქვენ არ გეგონოთ რომ კურიოზებს მარტო მიყრუებულ პროვინციაში ჰქონდეს ადგილი. არა, ამგვარ ამბებს კურთხეულ თბილისშიაც ხშირად წააწყდებით. კურიოზია მაშ რაა შემდეგი ქვემოთ მოთხრობილი ამბავი.

ბასეინის ქუჩაზე, იურიევის კუთხეში, ცხოვრობს ვინმე ალექსანდრე ზაქარიას ძე ბოგვერაძე, კაცი ღარიბი, წვრილი მოვაჭრე და ცოლშვილიანი. აქვს თავის საკუთარი რვა თვალიანი სახლი, მაგრამ თვითონ კი ცხოვრობს რვა სული ადამიანით დერეფანში. ამ დერეფნის მახლობლად მდებარეობს ბინა ვინმე ოსის—ტრამვაიელ გვარდიელის, ზაქარია კოჩიშვილის. მას სახლის პატრონმა რამდენჯერმე სთხოვა ბინის დაცლა მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო. შემდეგ გაჭირებული სახლის პატრონი მიდის ქალაქის გამგეობაში საჩივლელად. აი აქედან ეძლევა ამ ამბავს კურიოზის სახე. ინიშნება კომისია ქალაქის გამგეობისაგან ბოგვერაძის საჩივრის ადგილობრივ შესამოწმებლად. მოდიან კომისიის წევრები, ათვალიერებენ ერთისა და მეორის ბინას და სამართლიანად სცნობენ ბოგვერაძის საჩივარს. ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს გვარდიელ კოჩიშვილს ბინის დაცლის შესახებ მილიციის საშუალებით; კოჩიშვილი ასაჩივრებს საქმეს. ხელმეორედ ინიშნება კომისია და ხელმეორედ აძლევენ მას წინადადებას ბინიდან გადასვლის შესახებ. ქალაქის გამგეობის განკარგულებას თუ მილიციის უფროსისას ის არ ემორჩილება. არ ემორჩილება იმიტომ რომ გვარდიის სახელს ეფარება და ამ სახელით უსამართლოდ სარგებლობს. ის არ გადადის მას შემდეგ რაც სახლის მეპატრონემ იქვე მისი ამხანაგ გვარდიელის ოჯახში უკეთესი ბინა უშოვა, იქვე ამ სახლის სხვა ნაწილში ორი ოთახი მისცა და სხვა. აქ აშკარაა რომ მას ამოქმედებს კერძო ინტერესი თუ ქინი სახლის მეპატრონისადმი.

ეს ფაქტი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გვარდიელისათვის არ არსებულა არავითარი კანონი და არც ქალაქის გამგეობის დადგენილების დამორჩილება სავალდებულო არ ყოფილა მისთვის. გამოდის რომ გვარდიელი კანონს მაღლა მდგომი პირია, რა უფლება ძველათ მონარქებსაც კი არ ჰქონდათ. ჩვენი აზრით ეს გვარდიელი ასეთი საქციელით არცხვენს გვარდიელის სახელს. მეორე მხრივ ეს ფაქტი მოწმობს ქალაქის გამგეობის სისუსტეს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის მეტი შეძლებისა და ძალის პატრონი იყო, ვიდრე ერთი გვარდიელის დამორჩილება. დადგენილება რისთვის გამოაქვს თუ მისი შესრულება არ შეუძლია. ვფიქრობთ, ამ უსამართლო პრეტენზიების მქონეს და ურჩ გვარდიელს თვით მისი ამხანაგები ალაგმავენ. სხვა რომ არა იყოს დემოკრატიულ რესპუბლიკის, დემოკრატიულ ქალაქის საბჭოს გვარდიელმა მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს. ეს გვარდიელის ხელშეუხლებლობა კი არა, გვარდიელის თვითნებობაა.

ჯარისკაცი.

## კორესპონდენცია

### სოფ. გიორგიწმინდა
(გარე-კახეთი)

წლეულ ჩვენ სოფელში ძალიან მცირე მოსავალი მოვიდა პურისა შემოდგომის სუსხიანი ქარებისა და გაზაფხულის ხშირი წვიმების გამო. ხალხი დიდ სასოწარკვეთილებაში არი ჩავარდნილი. არ იცის სად, ან რა გზით შეიძინოს სათესლე ხორბალი. სიმინდს კარგი პირი უჩანს და დიდი მოსავალიც მოვა, თუ ხელის შემშლელი ბუნებაც ხელს შეუწყობს. სხვა შემთხვევაში ხალხი დაიშლება და გაღატაკდება. კულტურულად ხალხი ძალიან ჩამორჩენილი არის. ამ გვარ დაწესებულებათა შორის მათ მოეპოვებათ მომხმარებელი კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობის ბანკი და ერთიც სამ კომპლექტიანი ერთ კლასიანი სკოლა, სამი მასწავლებლით. შესდგა საგარეჯოს სასოფლო თემი რომლის ერთეულშიაც შედის ჩვენი სოფელი. საერობო გამგეობას სურს მომავალ სამოსწავლო წლიდან გახსნას მეოთხე კომპლექტი, მეოთხე მასწავლებლის დანიშვნით. ამ მიზნისათვის სოფელმა უნდა დაიკვეთოს 55 სასწავლო მაგიდა, თითო მაგიდის გაკეთება უჯდება 1000 მ., რაიც აღემატება სოფლის ფინანსიურ მდგომარეობას და ხარჯთ-აღრიცხვას. აგრეთვე განზრახული აქვთ გაიყვანონ საგარეჯოს ფ.-ტელეგ. განყოფილებიდან სარაიონო ყველა სოფლებში ტელეფონები, რისთვისაც უკვე შეუდგნენ ბოძების ჩამოტანა-დამზადებას. საზოგადოდ, საგარეჯოს ერობამ მრავალი პრაქტიკული ნაბიჯები გადასდგა.

ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან აღსანიშნავია ერთი ფრიად საგულისხმო გარემოება, რომ მან კულტურული ცხოვრების არსებითი საჭიროება იგრძნო და დაეტყო გამოფხიზლება. წელს აქ პირველად შესდგა ადგილობრივ ქალთა ჯგუფი, რომელმაც თავს იდო წარმოდგენების მართვა. 9 აგვისტოს მათ სკოლის შენობაში სკოლისავე სასარგებლოდ წარმოადგინეს 2 ვოდევილი: „საცოლე ერთი საათით" და „ჩაფრივას ჩაყოლა სჯობია" და ბოლოს დივერტისმენტი. თუ მივიღებთ მხედველობაში სცენის მოყვარეთა დებიუტებად ვიტყვით, რომ წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა, თვითეულმა მათგანი ხელს უწყობდა ანსამბლს.

ადგილობრივ ქალთა ჯგუფს ქ-ნ მ. სიდამონიშვილის მეთაურობით ვუსურვებთ სულით და გულით წარმატებას ხალხის გათვითცნობიერებისა და სულიერ კულტურის აღორძინების საქმეში.

ლ. ზურაბიშვილი.

### „ივრის ხეობიდან"
(თბილ. მაზრა).

როგორც მოსალოდნელი იყო მაღალ ლეროიანმა და გრძელმა თავთავმა ისეთი პურის მოსავალი არ მოგვცა, როგორსაც მოველოდებოდით. გახშირებულმა ქარებმა აზრიტეს ყანები. განსაკუთრებით უჩივიან სოფ. მანავში, თოხლიაურში, გიორგიწმინდაში, საგარეჯოში და ნინოწმინდაში. ქერებს-ახალ თესლებს კარგი გამოსავალი აქვს. პურის მოსავალი არც ისე ძლიერ ნაკლებია, როგორც საუბედუროთ პური—ხორბალი დიდათ ფასობს. ჯერ სულ ვერ იშოვნით გასასყიდს, რადგანაც გლეხები არა ყიდიან და თუ იშოვნით კოდ (3 ფ.) პურში უნდა მისცეთ 1000 მ. და ქერში (600 მ.) ვენახების მოსავალი მოსპო ზოგან სეტყვამ, ზოგან ნაცარმა და მილდიუმ; ისე რომ ღვინის მოსავალს სრულიად არ მოველოდებით. ბალახი წელს ძლიერ ბევრი მოვიდა, მაგრამ ხალხმა ვერ ისარგებლა. როდესაც ბალახის სეზონი იყო, მთელი ათი დღე განუწყვეტლივ წვიმები იყო და ხალხი გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებდა, როდესაც გამოიდარა, ყანებს მიაშურა, ისეც ხელიდან არ წამივიდესო. სიმინდებს ძლიერ კარგი პირი უჩანს. თაფლი ბლომად შეიტანეს ფუტკრებმა; ვისაც ცოტაოდენი ფუტკარი მაინც გადაურჩა წარსული წლის გოლვიან ზაფხულს და სუსხიან ზამთარს. ვაცვამდით „ეტაჟებს" და ხუთი დღის განმავლობაში სამჯერს ვიღებდით, მცოდნე მეფუტკრეს, წელს შეეძლო თითო გაძლიერებული დადანის სკიდამ მარტო სართულებიდან („ეტაჟებიდამ") გამოეღო სამი ფუთი თაფლი. საგარეჯოს თემის გამგეობამ დაიწყო მოქმედება ძლიერ დუნეთ, იგი სავაჭრო კანტორას უფრო წააგავს, ვიდრე ადმინისტრატიულ ერთეულს. მომრიგებელი მოსამართლე თითქოს დანიშნულია, მაგრამ ჩვენში საქმეებს არ არჩევს „ივრის ხეობაში" ხალხის თქმით სამართალი დამდგარია, ხეობაში გამეფებულია ძალ-მომრეობა.

როგორც გამუდმებულმა წვიმებმა თავი მოგვაბეზრა, ისე ეხლა საშინელმა სიცხეებმა. მოსალოდნელია ავადმყოფობა გაჩნდეს. თუმცა სახადი წინწლებიანი ისეც არის სოფლად და რო აცივდება თავისებურად გაცხოველდება.

ბ.

## ჩვენი ფოსტა

**ს. ნინოწმინდა.** დეკანოზ ალექსი გულისაშვილს. გაზეთს მუდამ წესიერად გიგზავნით: გვიგზავნეთ მასალები.

## თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მისამართები

1) ინგლისის მთავარი შტაბი. -რეტიშჩევის ქ. № 7.

2) ფრანგულ მისიის უფროსი პოლკ. მარდინი - პეტრე დიდის ქ. № 3

3) შვეიცარული საელჩო ბებუთოვის ქ. 15.

4) ფრანგული მისიისა—პანასკევიჩის ქუჩ. 3.

5) პოლონეთის სამეფო წარმომადგენელი—მადათოვის ქ. 1.

6) ლიტვის წარმომადგენელი კირშეს ქ. 45.

7) აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, კანცელარია—დავითის ქ. 5

8) უკრაინული მისსია,—ვერის დაღმართი 3

9) უკრაინის მთავარი ელჩი ლესნიაკი ვერის თავდაღ. 3

10) სპარსეთის მთავარი ელჩი—გუდოვიჩის ქ. 7

11) ესპანური ელჩის ნაცვალი ამაღლების ქ. 9

12) შვეიცარიული საგანგებო დელეგაცია დიდუბე „ფლერას" ვილლა.

13) საბერძნეთის სამეფო ელჩი—სასტუმრო „ბელვიუ"

14) სომხეთის წარმომადგენელი—გოლოვინის პრ. 8

15) ჩეხ-სლოვაკთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი—ქალთა პირველი გიმნაზია

16) იტალიის წარმომადგენელი სასტუმრო „ორიანტი".

17) ამერიკული სამხედრო მისია—სერგიევის ქ. 16

18) ბელგიის ელჩი—ელისაბედის ქუჩ. № 183.

## მიმოსვლა სახალხო მატარებლებისა
### ს. ს. რკ. გზ.

**გადის თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | საღ. | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

**თბილისი-სადახლო**

გადის სადახლოში

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. | 50 წ. |

მოდის სადახლოდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | საღ. | 8 ს. | 4 წ. |

**თბილისი-სანაინი**

გადის:
№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:
№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტუშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

გ. გ. მებრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიიდი და [illegible]სევალის ტრაკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 6[illegible] შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

## ტრფობა წამებული
(ისტორიული რომანი)

76.

ესმენდა დედაბერს ქალი შეძრწუნებული. ვერ კი შეიგნო აზრი მისის თქმისა; ვერც ის გაიგო, რად დასჭირდა დედაბერს სასტიკ თხრობათა თქმა პატიმრის წინაშე, ერთგვარ საშინელ ამბების დაჟინებით მოთხრობა. ქალი ცდილობდა გადაეხედნა ამ ამბავთა გადაღმა, დაენახა, რა განსაცდელს უმზადებდა მას მოძულე ბედამიანი. ვერას ჰხედავდა, ვერას განსჭვრეტდა განსაზღვრულს. ვერც ერთ სურათს ცხადად ხახავდა; გრძნობა კი ავ მომავალს უსახავდა, მედგარ სატანჯველს, გარდამეტებულ საზღაურს ბოროტებისას. ავის მოლოდინი გულს დასწოლოდა მას საფლავის ლოდივით, სუნთქვას უხშობდა, ვით თვით სამარე, თვალის სინათლესა სტაცებდა ცოცხლივ დამარხულს ვიწრო საკანში. მისი გვამი უკვე გრძნობდა მასთან მისვლას საფლავის გველისას. რომელი ხვრელავდა მისკენ მიწას, რომ შეეცურებულიყო ცოცხლად დამარხულის კუბოში და ჩაჰხვეოდა მას, ჩაჰკონებოდა მრავალ სალტად გარშემორტყმული. ცივი იყო იგი საზარი, ლიბი იყო ძლიერი ტანი გესლით ავსავსე.

— მიხსენ, ხელმწიფეო ჩემო, ძლიერო, აღმომიყვანე მთხრებლით საზარით! სადა ხარ, მიჯნურო ჩემო მძლეთა მძლეველო? სად არ აღმიპყრობ ხელს, არ აღმომახდენ ჯოჯოხეთით უბრალოდ ტანჯულს?

ეჰ, მის მიჯნურს დასდუმებოდა მკლავი ცხებული. ჩასტეხოდა ნებისყოფა ძლიერი უდროვო დროს, შუქურისათვის და თავისთავისთვისაც საბედნიერო ჟამს. ზეცისაგან დროთა ბრუნვის წინადვე თუ იყო შეკედლშედუღებული იღბალი მეფისა და მის მხევლისა; ის თუ ჰსურდა შორსმჭვრეტელ განგებას, რომ ერთად ევლოთ მათ დაუსრულებელ სავალში დროთა ბრუნვის-, ერთადვე წარსდგებოდნენ პირის პირ ნათელსა მას დაუსრულებელს.

აშოტმა იცოდა მეთქი, ხანდისხან მიეცემოდა გაშოურკვეველ რამ მდგომარეობას, როცა მისი სული თითქო მიიძინებდა მოდუნე-მოუძლურებული, მოილვიდებოდა მისი ნებისყოფა ფოლადისებური. ამისთანა დროს მისთვის სულ ერთი იყო, რა ხდებოდა იმის გარშემო, რა კვალს ადგებოდა ცხოვრების დენა. მომავალი კეთილი თუ უკვე მივლენილ-მიწევნილი ბოროტი ერთნაირად სხლტებოდა მაშინ მის არსებაზედ, არავითარ ისეთ შთაბეჭდილებას არ ახდენდა მასზედ, რომ აემოძრავებინა მისი გონება. აღელვებანა მის მიმდორებული გრძნობა ხავსმოდებული, აემხედრებინა ნებისყოფა შემმართებელი, მთრგუნავ-მმუსრავი. იმის მახლობელთ, იმასთან შეზრდილი, იცოდნენ ეს და უფრთხილდებოდნენ მას ამისთანა წუთებში უკეთესი ჟამის მომლოდნენი, იმ კარგის წამისა, როცა გაიღვიძებდა სული მისი მოქმედებისთვის განახლებული; აღსდგებოდა ნება მისი შესამუსრად ბნელთაც ჯოჯოხეთისა, აღიმართებოდა ეშხით სავსე ბრძოლისათვის მარჯვენა მისი მტერთა დამლეწი.

— იცი, ბარძიმ, როცა ჩვენი აშოტი ესეთს გარინდებას მიეცემა ძალს იკრებს ახალ მოქმედებისათვის, ისვენებს, ვით ლომი ედემის შესული, კვლავ გამოვა იგი ბრძნარს საბრძოლველად, ვინ წინაღუდგეს მაშინ მძვინვარეს?! ერთს ასეულად მიუწყავს იგი მტერს გარემოდგმას.

— ვიცი, სარდალო ჩემო, ეგ მისი თვისება, ბალღობიდანვე აქვს მაგას დაჩემებული ეგ ზნე, მაგრამ ესე ხანგრძლივ ნებამიხდილი, და ეს მაშინ როცა მტერი სახლს შემოგვჭრია. ესე საშინლად მოშვებულ-მოდუნებული არ მინახავს იგი. მეფიქრება, ძალიან მეშინიან.

- მეტად დაჩაგრეს სატრფოს წართმევით. ჩვენც ძლიერ გვაწყენს. სახუმარო არ ყოფილა მაგის სიყვარული. სული მოუტაცნია ვაჟკაცისათვის შუქურს დაღლაცვილს. ტყუილად კი არ წარმოსთქვა მაშინ გამწარებულმა, უმჯობესი იყო ქვეყნად არ გაჩენილიყავი.

ესე უბნობდნენ მეფის მახლობელნი, ქვეყნის მოჭირნახულენი. მარტონი არ იყვნენ ისინი ამ მსჯელობაში: მათ ბანს აძლევდა ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასი იყო სამშობლოს ბედი, ურყევლად ყოფნა სამეფოსი. ქართველთ სიცოცხლე. არ ეძინა მამულში შემოჭრილს მტერს ძლიერს, ნელნელა რომ იხვევდა გარს ქართველთ სამყოფელს, ვით გველეშაპი პირდაღებული ცოცხლების მთრქმეველი. აშოტის გამარჯვება, მისი სამეფოს თანხმობის ზრდა, მისი მტკიცე კავშირი ბიზანტიასთან, რომლის საიმედო ფარად გარდაქმნილიყო ეს რიცხვით მცირე, სულით დიადი ერი ჯვაროსანი, მოსვენებას არ აძლევდა ძლევა ნაჩვევ ბაღდადს.

დიდგვარი ხალიფი განრისხებულიყო თბილისის ემირზედ, წამოეგზავნა სხვა სარდალი უფრო მძლავრი, გამოწრთობილი. შავიდა ახალი ემირი თბილისს, წარჰკვეთა თავი წინამორბედისას, ბაღდადს; აღუთქვა აშოტის თავიც ქედმაღალისა. ახალი ემირი ისწრაფოდა აესრულებინა თავისი აღთქმა რაც შეიძლებოდა სწრაფად, სავსებით. გზებს იკვლევდა, ჯაშუშებსა ჰგზავნიდა ქართველთა ამბების გასაგებად, ოქროს აბნევდა მოლაშქრეთა მისაზიდებლად სრული იმედი ჰქონდა ემირს გამარჯვებისა. საუკეთესოდ შეჭურვილი ლაშქარიც ადასტურებდა მის იმედიანობას.

ფხიზლად იყვნენ ხალხის ჭირისუფალნიც. იცოდნენ იმათ მტრის განზრახვები, თვალს ადევნებდნენ მის მოქმედებას. მაგრამ რა სარგებელი იყო მათ სიფხიზლეში, როცა ეძინა მეფე-სარდალს მოდუნებულს, ღონემიხდილსა; ცხოვრების უარმყოფელს, სიკვდილის მსურველს?! არავითარი! ქართველთა ლაშქარი მხოლოდ აშოტსა ჰხედავდა თავის ღირსეულ მეთაურად, ის ჩვეული იყო მის წინამძღვრობას, მის აზრზედ გავლას. აშოტის ხმლის ჰრიალი იყო ის მომჯადოები ვარსკლავი წინამძღოლი, რომელი ლიმილით იწვევდა ჯარს უცილობელ გამარჯვებისაკენ სხვები, თვით გამოჩენილი გმირნი თუ ბუმბერაზნი, ხალხის თვალში მხოლოდ აშოტის გვერდზედ რაინდობდნენ თუ ბუმბერაზობდნენ, მისით გმირობდნენ. ეს იცოდნენ ხალხის ჭირისუფალთ და სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ, როცა ჰხედავდნენ. აშოტს თითქო აღარ ეხმოდა განწირული ხალხის ძახილი. ნუ თუ სოფლითა გაებიჯა გმირსა უებრო, მტრისთვის მიეცა თავის ქვეყანა საზეიმოდ?!

დაცდა კი აღარ შეიძლებოდა, მსწრაფლ უნდოდა ქვეყანას შველა. ერთად ერთადერთი ხსნა ის იყო, დაებრუნებინათ ვაჟკაცისათვის შუქურ-ვარსკვლავი, რომლის არსებაში თურმე მოთავსებულიყო მთავარი სული მეფე ვაჟკაცისა. მიჰმართეს დედოფალს, აუწყეს ყოველივე, გაუზიდეს თხოვნა. შერისხა იმან კადნიერნი და უკუძრიდა ფრიად ნაწყენმა. ევედრნენ წმინდას დიდის ვედრებით. არ უსმინა გრიგოლმა საბჭოს.

— განდეგილს არ ჰშვენის სახელმწიფო საქმეში ჩარევა. ვერც ძალმიძს მე, ცოდვილ, წინაღუდგე განგებას ღვთისას და უკუვაქციო ის, რაც სასწაულებრ მოხდა მაღლის სახელით.

თებრონია მოლადაც განრისხდა ესეთს თხოვნაზედ.

— მიკვირს, მიწვევთ კვლავ ცოდვაში ჩავარდნად მეფე, ერთხელ დახსნილ მავნეს ხელიდან, შენიშნა უღმობელმა.

ბჭენი მაინც თავის ჰაზრზედ იდგა: მტკიცედ მისდევდნენ იმ გზას, რომელი მსწრაფლ ჩააგდებდა ბატონს სრულ ცნობიერებაში, შესძენდა ძალს სიფხიზლისას; მიაქცევდა მის ჰაზრს, პირად განცდათაგან ხსნილს, საქვეყნო საქმეზედ ფრიად დიდზედ, ძალიან რთულზედ. ქვეყნის ჭირისუფალნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, თუ მეფე დაკმაყოფილდებოდა თავის შელახულ გრძნობათა არეში, თუ მას გული გაუმთელდებოდა პირად ცხოვრებაში, მსწრაფლ მოეგებოდა თავს, ანაზდად მისწვდ-მოატრიალებდა საჭეს სახელმწიფოს ძალთა საკეთილოდ მისამართავად.

— საკვირველია ჩვენი ყოფა, ძნელ-შესაგნები: გარეშეს ეგონება, ამ განსაცდელის დროს უბრალო ამბავისათვის მიგვიქცევია ყურადღება, ვილაც დიაცის ბედზედა ვზრუნავთ. ვინ რა იცის ან როგორ მიჰხვდება, რომ ჩვენი ზრუნვა სწორედ იმაზედ არის მიმართული, დავიხსნათ ერი უბედურებისაგან: ჩვენმა მეთაურმა უნდა ჰპოვოს თავისი გული, რომელიც დამარხულია ქალის არსებაში, რომელი უპყრიათ ქვეყნიდან გამდგართ.

— აღარ შეიძლება დაყოვნება! დედოფალიც, სავანეებიც, ყველა მოწინაამდეგეც მეფისა უნდა სდუმდეს საერთო განსაცდელის წინაშე. არ შეიძლება რყევა, არც ხანის დაზმა! უნდა აუსრულდეს მეფეს თავისი პირადი საწადელი, სულ უბრალო სურვილი მცირე!

დაასკვნეს გამოეყვანათ ქალი დედათა სავანიდგან, თუნდაც ძალით, მონაზონთა სურვილის წინაალმდეგ. ეს შეჰლახავდა განდეგილთა ყუდეს შეუხებლობას, მკაცრად დაცულს და დასაცავსა, მაგრამ სხვა გზა აღარა სჩანდა. სჯობდა თითონვე ოდნივ შეერხიათ სავანის მყუდროება, სინამ მტერს ძირიანად ამოეფხვრა წმიდა მონასტრებიც, ეკლესიებიც, სჯულიც ხალხისა, თითონ ერიც მართლმადიდებელი.

ამ ჰაზრს მიემხრო კათალიკოზი არსენიც. ის აქამდის შორს იდგა ამ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ამბავისაგან. დარწმუნებული იყო, განგება თითონ უკეთესად შეაწესებდა ყველაფერს, კეთილს ჩააგონებდა მეფეს, დაამებდა მის გულისტკივილს; და აცხრობდა ვნების სასტიკ დარაჯთა გულისწყრომასაც. ეხლა იმანაც გადადგა სამოქმედო ნაბიჯი. თავის ეპისტოლეში განდეგილის მიმართ განმარტავდა ის თავის შეხედულობას ამგვარ ამბავთა შესახებ, სთხოვდა დაჰხმარებოდა საქმის სასიკეთოდ დათავებაში, გაეხსნა ხელი მეფისათვის სამოქმედოთ განსაცდელის ჟამს. სწერდა: უღელი ქრისტესი მსუბუქ არს, ნუ შემძიმდების იგი მეფისათვის მოჰირნახულესი; ნუ გარდამოივლინების ცეცხლი შემცოდეთა ზედან; მიუტევნოს მათ, ვით მიუტევა იესო ტკბილმა შემცოდეს, ნუ დაჰკრებთ ქვათა მათზედ, განუტევოთ მშვიდობით, ვილოცოთ, რათა მადლი მაღლისა გაჰკურნავდეს მათ ვნებათაგან. გვედრი, ღირსო მამაო, უსმინო უძლურებასა ჩემ გლახაკისასა. სასჯელი ცოდვისა იყავნ ჩემზედა! იხსნას მაღლმა ერი ტანჯული!

გახილ ხარნაგი.

(შემდეგი იქნება)

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.